საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 თებერვალი. 2016 წ. №31 (7923), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ნაიკითხავთ, სხვასან ვერ ნახავთ!

ლონდონიდანაც რომ ჩამოსულიყავით...

მიკროფონი თუ გიჭირავს, ვითომ ჟურნალისტი ხარ?!..

3

PROVINCIA

სიმდიდრე, რომელიც წყალმა უნდა მოგვიტანოს, წყალსვე ნუ ვატანთ!

4

◎ ორმაგი სტანდარტი გვანადგურებს!

ირაკლი ოქრუაშვილსაც დაიჭერენ?

ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, ექს-იუსტიციის მინისტრმა და ნაპრეზიდენტალ სააკაშვილის მარცხენა ხელმა (მარჯვენა მაინც ვანო იყო) ზურაბ ადეიშვილმა თითქმის კომიკურ და უბადრუკ ფიგურად იქცია თავი, როდესაც არჩევნების წაგებიდან მეორე დღეს სამარცხვინოდ გაიპარა ქვეყნიდან ისე, რომ როგორც მესაზღვრე გოგოები ჭორაობენ, ხელში პასპორტის მეტი არაფერი ეჭირა. და კიდევ პლატინის საკრედიტო ბარათი, რასაკვირველია, რომელზეც 10-წლიანი წარმატებული მოღვაწეობისას ხელფასისა და პრემიის სახით მიღებული დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი ედო.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ასე სამარცხვონოდ მოიქცა (მის ყოფილ თანაგუნდელთაგან, სააკაშვილის ჩათვლით, ეს არავის მოსწონს, მაგრამ იციან, რომ ამის ღიად თქმით კიდევ უფრო დაზარალდებიან) იოლად „ხელწამოსაკრავად“ იქცა, რომელსაც იოლად შეაწმენდენ ხელს და მას დააკისრებენ აბსოლუტურად ყველაფერს.

ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ განვითარდება მოვლენები ბოლო საქმესთან დაკავშირებით — ტელეკომპანია იბერიის დახურვის თაობაზე: ადეიშვილის მოადგილე გიორგი ლაცაბიძე, რომელიც ამ საქმის მთავარი „მკერავი“ იყო და ბრძანებას „კერეჩნელი ალბერტას“ უტყვი გულმოდგინებით ასრულებდა, რასაკვირველია, სწორედ ადეიშვილისკენ გაიშვერს ხელს, მას დააბრალებს ყველაფერს, გააფორმებს პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებას და არანაირად არ დაისჯება. ეს რომ სწორედ ასე იქნება, თუნდაც ის მეტყველებს, რომ არ დაუპატიმრებიათ. თუმცა კი, ადეიშვილისგან განსხვავებით, არსად გაქცეულა.

ეს უფრო ზოგადი პოლიტიკის გამოხატულებაცაა: ხელისუფლებას არ აწყობს შემსრულებლების დასჯა. არ აწყობს, რადგან „მაშინ ჩვენს ბრძანებებსაც აღარავინ შეასრულებს და სისტემა თავზე დაგვენგრევაო“. სწორედ ამ უგვანი ლოგიკით, არ არიან დასჯილნი ის გარეწარი პოლიციელები, რომლებმაც ლამის მიასიკვდილეს კობა დავითაშვილი ან დაასახიჩრეს ადამიანები პოლიციის განყოფილებებში 2011 წლის 26 მაისის დარბევის შემდეგ, ან ერთ-ერთი ფოტოგრაფი სასაფლაოზე წაიყვანეს და იქ სასტიკად გვემეს, სანამ გლდანის ცისკენ მიიყვანდნენ და ასე შემდეგ.

იხ. 2 გვ.

მივმართავთ მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს!

„სამშობლოდან“ გამოძევებულთა კიდევ ერთი შეძახილი

ნაციონალთაგან დარბეული „იბერიის“ ტელეარხის სამართლიანად აღდგენამ და დამნაშავეთა სამართალში მიცემამ სამართლიანობის აღდგენის იმედი გაგვიღვიძა იმ ათობით ჟურნალ-გაზეთის რედაქციას, რომლებიც უშუალოდ ბეჭდური მედიიის მოძულე სააკაშვილის ბრძანებით პოლიციამ 2007 წელს ძალადობრივად გამოგვაძევა გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან და ღია ცის ქვეშ დარჩენილნი დღემდე ველოდებით ახალი ხელისუფლებისგან დაპირებული სამართლიანობის აღდგენას!

მივმართავთ ქვეყნის მთავარ პროკურორს ბატონ ირაკლი შოთაძეს, რომ ჩვენი ბედითაც დროულად დაინტერესდეს და, ბოლოს და ბოლოს, საშველი დააყენოს ჩვენს გაუთავებელ მომთაბარეობას.

თუ უკვე გაყიდული „სამშობლოს“ დაბრუნება შეუძლებელია, იქნებ სამართალმა „სამშობლოს“ უკანონოდ მყიდველი მავანი ოლიგარქი აიძულოს, რომ უკანონოდვე გამოყრილ რედაქციებს რაღაც ფორმით აუნაზღაუროს გაუგონარი ძალადობით მიყენებული ზარალი!

პრესა, ანუ მეოთხე ხელისუფლება, ნამდვილად იმსახურებს დემოკრატიული სახელმწიფოს მხრიდან დროულ სამართლიან დამოკიდებულებას!

პრემიერმა ისრაელის ელჩს უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იუვალ ფუქსს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მეგობრული კავშირები სულ უფრო ვითარდება.

საუბარი ასევე შეეხო საქართველო-ისრაელის თანამშრომლობას ტურიზმის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისრაელის ელჩს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მევლუთ ჩავუშოღლუ საქართველოს ეწვია

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში გუშინ დაიწყო. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მევლუთ ჩავუშოღლუს დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა თურქ კოლეგასთან. მხარეებმა განიხილეს თურქეთ-საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრის დასრულებისას მინისტრები პრესისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

19 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სამმხრივ შეხვედრაში.

პარლამენტში მრენველები რესპუბლიკელებს დაუპირისპირდნენ

პარლამენტში დეპუტატები ზურაბ ტყემალაძე, გოგი თოფაძე და დავით ბერძენიშვილი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირება დავით ბერძენიშვილის მიერ სხდომაზე გაკეთებულმა განცხადებამ გამოიწვია.

ბერძენიშვილი გამოეხმაურა თოფაძის მიერ „ობიექტივის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებას, სადაც მან თინა ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში ისევ დაადანაშაულა.

დავით ბერძენიშვილის თქმით, ბოლო პერიოდში თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები არასახელმწიფოებრივია.

ბერძენიშვილის ამ განცხადებას სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა.

◎ ორმაგი სტანდარტი გვანადგურებს!

ირაკლი ოქრუაშვილსაც დაიჭერენ?

(პირველი გვერდიდან)

არადა, ამგვარი ლოგიკა („მაშინ სისტემა თავზე დაგვენგრევაო“) იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ძალადობა და უკანონობა არასდროს დასრულდება: სანამ შემსრულებელი(ც) არ დაისჯება უკანონო ბრძანების შესრულებისთვის, მანამ არ დაილევა ისეთი მთავრობა, რომელიც იძალადებს.

როგორც კი, შემსრულებელს ეცოდინება (მომავალი სასჯელის შიშით), რომ სჯობს საერთოდ დატოვოს თანამდებობა, სამსახური, ვიდრე აშკარად პოლიტიკურად ანგაჟირებული, უკანონო ბრძანება შეასრულოს, მანამ იარსებებს ის „ბულიონი“, რომლითაც იკვებება დიქტატურა და სახელისუფლებო აღვირახსნილობა, რომლის მკაფიო მაგალითია ის, რაც 2004 წელს მოხდა ტელეკომპანია იბერიას მიმართ.

მაგრამ ამ საქმის „დამწყები“ ხომ ზურაბ ადეიშვილი არ ყოფილა? მისმა წინამორბედმა, ირაკლი ოქრუაშვილმა წამოიწყო მთელი ოპერაცია, რასაც მოჰყვა „სპეცდანის“ შეყვანა, — ვითომდაც ბიზნესის შესამოწმებლად საგადასახადო დავალიანების გამო. სინამდვილეში, მთავარი სამიზნე „არარეგულუციური ტელევიზია“ იყო, რომელიც ნერვებს უშლიდა ახალ ხელისუფლებას, რაკი მოვლენებს და პროცესებს ისე არ აშუქებდა, როგორც იმდროინდელი „რუსთავი-2“.

მაგრამ მთელს ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რატომ არ აწყობს ხელისუფლებას ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება და, საერთოდ, როგორ დაიძვრინა თავი ამ ადამიანმა მაშინ, როდესაც მთავარი მოვლენები, რისთვისაც მიშასა და მის გუნდს ასამართლებენ, სწორედ მისი გენერალური პროკურორობის დროს განხორციელდა? მაშინ დაიწყო ბიზნესების „ახევა“ და იმავე „იბერიას“ საქმე.

სხვათა შორის, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ კონკურენტი ტელეკომპანიის დახურვას მაშინ ყველანაირად უჭერდა მხარს. აქაოდა, ჩვენ დასავლური ყაიდის, ცივილიზებული, თავისუფალი ტელევიზია ვართ, ესენი კი ოლიგარქიულ, კონტრრევოლუციურ ინტერესებს ახორციელებენ. როგორც ჩანს, ეგონათ, „ჩვენ ამდენს ვერ გაგვიბედავენო“. მაგრამ გაუბედეს კი არა, სულ მალე ლაზათიანი პანღური არ დააკლეს ყველას, როცა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რევოლუციურ რეფორმებს ხელს უშლიდნენ მათთვის ჩვეული „სკანდალიზმით“

მაგრამ მთელს ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რატომ არ აწყობს ხელისუფლებას ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება და, საერთოდ, როგორ დაიძვრინა თავი ამ ადამიანმა მაშინ, როდესაც მთავარი მოვლენები, რისთვისაც მიშასა და მის გუნდს ასამართლებენ, სწორედ მისი გენერალური პროკურორობის დროს განხორციელდა? მაშინ დაიწყო ბიზნესების „ახევა“ და იმავე „იბერიას“ საქმე.

განა ხელისუფლება ვერ მოახერხებდა მის ამ „ქეისთან“ მიბმას, რომ მოენდომებინა? რა თქმა უნდა, შეძლებდა, მაგრამ არ აწყობთ, რადგან ირაკლი ოქრუაშვილმა, თავის დროზე, როცა პარიზიდან დაბრუნდა, ამით ძალიან ჭკვიანური და გონებამახვილური სვლა გააკეთა. მან ზუსტად გათვალა, რომ ხელისუფლება აღმოჩნდებოდა არაკომფორტული არჩევანის წინაშე: ან ეღიარებინა, რომ სააკაშვილის შემდგომდროინდელი მთავარი მტერი თვითონ იყო რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედი, ან გამოეყენებინა მოწმედ, დაეხსნა იგი ციხიდან და ამით იგივე რეჟიმი ნაწილობრივ გაეთეთრებინა.

მეორე არჩევანი ნაკლებ ბოროტებად მიიჩნიეს და ეს ინერცია დღემდე გრძელდება: აბარა შეიძლება დაუპირისპირო ადეიშვილის ადვოკატის არგუმენტს, რომ პროკურატურის განცხადება, თითქოს „2004 წლის იანვარში ადეიშვილმა განახორციელა...“ და ასე შემდეგ. არის ელემენტარული ტყუილი, რადგან იმ დროს ზურაბ ადეიშვილი კი არა, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო გენერალური პროკურორი. ათასი ამგვარი სპეცოპერაცია აქვს განხორციელებული იმავე მიშას დავალებით. უბრალოდ, დროულად და ჭკვიანურად გაეცალა.

თუმცა ხელისუფლება კვლავინდებურად ცდილობს, მხოლოდ უკვე „გაფუჭებულ“ და ყავლგასულ პერსონებს დააკისროს ყველაფერზე პასუხისმგებლობა, რაკი ისინი პრობლემებს ვეღარ შეუქმნიან. სულ სხვა საკითხია ქვეყნისთვის რამდენად სასარგებლოა ამგვარი მიდგომა: **სინამდვილეში, ასეთი ორმაგი სტანდარტი გამანადურებელი შედეგის მომტანია და კიდევ ერთი მიზეზი ხდება იმისა, რომ არ გველირსება ნორმალური ხელისუფლება და ამ ძვეძანასაც არასდროს არაფერი ეშველება.**

გიორგი ლეჟავა

◎ სპეციალისტის ფხიზელი თვალი

რაჭომ გაქრა ლარის ახალ კუპიურებზე სახელმწიფო — საქართველოს სახელი?

2016 წლის 25 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე ვადა ეწურება გიორგი ქადაგიძეს.

ამავე დროს, გიორგი ქადაგიძე რჩება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად — მიმოქცევაში 2016 წლის 1 თებერვალს გამოშვებულ ახალი ნიმუშის 20 და 50-ლარიან ბანკნოტებზე.

აღნიშნულ ბანკნოტებზე მითითებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი ხელმოწერა — გ.ქადაგიძე.

მე არ მინდა ვიყო მორალისტი და დავიწყო ამ ფაქტის თავმდაბლობის ან სხვა მსგავსი კატეგორიებით შეფასება.

ამ ფაქტმა და იმან, რომ ახალ კუპიურებზე, წინა ესკიზის ლარებისგან განსხვავებით, აღარც ფინანსთა სამინისტროა მითითებული და აღარც ფინანსთა მინისტრის ხელმოწერაა (http5//ganakhlebulilari.ge), მაფიქრებინა, რომ ხომ არ არის უპრიანი საერთოდ არ იყოს არავის ხელმოწერა? მით უმეტეს, რომ ქვეყნის დემოკრატიის ყმაწვილობის გამო ფულზე ხელის მომწერი პერსონები ხშირად ხდება თანამედროვეთა არაერთგვაროვანი შეფასების მიზეზი, რაც აზიანებს ფულის ავტორიტეტსა და მისდამი ნდობას.

სხვათა შორის, მახსოვს, 1993 წელს, როდესაც საქართველოს ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღების პაკეტი მომზადდა, ქაღალდის ფულზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერების საკითხი იმ მოტივით გადაწყდა, რომ მომხდარიყო დემონსტრირება ამ ინსტიტუტების ერთიანობისა, რაც ფულისადმი ნდობის გაზრდას შეუწყობდა ხელს.

რა მიზეზით იქნა აღნიშნულზე უარი, საზოგადოებისათვის არავის არ უცნობებია. ალბათ, იმ ფორმალური მოტივით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით „ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს“ (მუხლი 95, პუნქტი 5). იგივე დაკონკრეტებულია საქართველოს ორგანული კანონით „ეროვნული ბანკის შესახებ“, განსაზღვრულია, რომ „მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს როგორც მიმოქცევისათვის, ისე საკოლექციო ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება“ (მუხლი 35. პუნქტი1.). რაც შინაარსობრივად აბსოლუტურად ლეგიტიმურია, თუმცა, არაა გარდაუვალი ფორმით.

თუმცა, მიმაჩნია არასწორად, როდესაც ლარის ახალ კუპიურებზე გაქრა სახელმწიფოს — საქართველოს დასახელება.

საპირწონედ აქ არ გამოდგება ის, რომ ბანკნოტებზე მითითებულია „საქართველოს ეროვნული ბანკი“. არ გამოდგება არა იმიტომ, რომ მსგავსი მაგალითები არ არსებობს, არამედ, იმიტომ, რომ ეს მოცემულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონი ამბობს, რომ „საქართველოს ფულის ერთეულია „ლარი“ (მუხლი 34.პუნქტი 1)“, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ფულია ლარი. საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“ (მუხლი 1. პუნქტი 3).

ლარი არის სახელმწიფო — საქართველოს ფული და მასზე წარწერა „საქართველო“ უნდა აღსდგეს.

სანამ გვიანი არა არის, უნდა ჩასწორდეს 100-ლარიანისა და სხვა ნომინალების მატრიცები!!!

მიხეილ ჯიბუტი,
პროფესორი.

PROVINCIA

მიკროფონი თუ გიჭირავს, ვითომ ჟურნალისტი ხარ?!.

ტერმინი პროვინცია შორეული წარსულიდან მოდის – ასე უწოდებდნენ რომაელები დაპყრობილ ტერიტორიებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებსაც სენატის მიერ დანიშნული მოხელეები (იმპერატორ ავგუსტუსის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან – პროკურატორები) მართავდნენ.

სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღსანიშნავად ეს ტერმინი დღესაც გამოიყენება. პროვინციებადაა დაყოფილი თანამედროვე კანადა, იტალია, არგენტინა და სხვა ქვეყნები.

დროთა განმავლობაში აქედან წარმოიშვა ტერმინები პროვინციელი (დედაქალაქიდან მოშორებით, პროვინციაში მცხოვრები) და პროვინციალიზმი – საღი აზრისგან, ცივილიზაციისგან დაშორება; ყავლგასული, ჩამორჩენილი სტერეოტიპებით აზროვნება.

ერთი სიტყვით, თანამედროვე გაგებით პროვინციალი (პროვინციელი) არის არა სიცილიის, სარდინიის, სომხეთის პროვინციებიდან გამოსული და რომში ჩასული ან კვახჭირიდან და ნაფაღაურიდან თბილისში ჩამოსული პირები, არამედ, ზოგადად, გონებაშეზღუდული ადამიანები მათი წარმოშობის, სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

პროვინციელის, შეზღუდული აზროვნების მქონე ადამიანის აღსანიშნავად ქართულ ენას საკმაოდ მდიდარი ლექსიკონი აქვს: გაგრია, ტეტია, ხეპრე, ოტროველა, გოიმი, მუტრუკი, უგბილი, აბუეტი, აბდალი, ცეტი, ბოთე, კომბლე, სოფელო, პროფანი, ქაჯი, ყანა... ამას შეგვიძლია დავუმატოთ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ პოლიტიკური ოპონენტების დასახასიათებლად დამკვიდრებული კიდევ ერთი ტერმინი – „ქინძი“.

უნდა ისიც ითქვას, რომ ამქვეყნად პროვინციელები, შეზღუდული აზროვნების მქონეები გონებანათელ, აზრობრივი სტერეოტიპებისგან თავისუფალ ადამიანებზე გაცილებით მეტნი არიან. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს ქვეყნიერების დასასრულს. თუმცა, ნიშნავს, რომ ადამიანებმა უნდა იზრუნონ საკუთარ განათლებაზე, მასწავლებლის როლის შეცნობაზე, სტერეოტიპებისგან გათავისუფლებასა და საღი აზრის დაფასება-გათავისებაზე. გეთანხმებით, მართლაც ურთულესი პროცესია, მაგრამ არ არის შეუძლებელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ კაცობრიობის ისტორია სწორედ კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის, ცოდნისა და უვიცობის ბრძოლის ისტორიაა და ვინაიდან ადამიანები დღესაც ვარსებობთ, ამ გაუთავებელ ბრძოლაში უპირატესობა სიკეთის, სინათლისა და ცოდნის მხარესაა.

პროვინციალები, როგორც წესი, არიან ყველგან, ადამიანური მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროში. თუ მეცნიერებაში, ხელოვნებაში ან ლიტერატურაში მათი დანახვა შედარებით რთულია (სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს), პოლიტიკაში და ჟურნალისტიკაში საქმე განუზომლად გაადვილებულია – ყველაფერი ხელისგულზე დევს. გთხოვთ, სწორად გამიგოთ – ვგულისხმობ გულწრფელ პროვინციალებს და არა გიგა ბოკერიას, ხათუნა გოგორიშვილს, გიგი წერეთელს, სერგო რატიანს, გიორგი თარგამაძეს და სხვებს, გარემოებათა გამო „ვირების მარაქაში რომ გაერივნენ და იძულებული არიან, ტლინკები ჰყარონ“. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ „გულწრფელი პროვინციალიზმის“ ტიპური წარმომადგენლები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ბრძანდებიან კობა ხაბაზი, შალვა ნათელაშვილი თავისი ერთგულთა გუნდით, ნუგზარ წიკლაური, გოგი თოფაძე, თამაზ მეჭიაური და მრავალი, მრავალი სხვა. არაფერს ვამბობ ბელად სააკაშვილზე, ვისაც ვინმე კაკალაშვილი პოეტი ჰგონია, რუსთაველი – „ვიღაც მოლექსე“, მერაბიშვილი – „კარგი მინისტრი“, უგულავა – უმანკო და საკუთარი თავი – უკვდავი.

პროვინციალიზმით შეპყრობილია ყველა, ვისაც მართლაც გულწრფელად სჯერა, რომ საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია; რომ „საქართველოს გაბრწყინება“ რუსეთის „დაბნელებაზე“ ჰკიდია; რომ „მიშა მაგარია“ და თურქი საქართველოს ისტორიული მეგობარია...

პროვინციალიზმი, როგორც ადამიანის აზროვნების და ქცევის წესი, არ არის დანაშაული, დიდად სამარცხვინო რამ საქციელი ან მიუტევებელი ცოდვა. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს არ უშლის საზოგადოების განვითარების ბუნებრივ პროცესს, არ გამოიყენება საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედებისათვის, შეგნებულად არ ამახინჯებს სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისათვის საშიშია არა ხაბაზი-თოფაძე-მეჭიაური-ჯაჭვლიანის გულწრფელი პროვინციალიზმი, არამედ ბოკერია-რატიანი-თარგამაძე-გოგორიშვილი-თაქთაქიშვილის პროვინციალიზმით შეფუთული პოლიტიკური დემაგოგია.

ინგა გრიგოლიას, მაგდა ანიკაშვილის, ნანუკა ჟორჟოლიანის, მაია ასათიანის ჟურნალისტური მოღვაწეობა იმიტომ კი არ არის პროვინციალიზმით დაღდასმული, რომ მათი რეჟისორები, სცენარისტები, წამყვანები საიდანღაც ჩამოვიდნენ (ან არ ჩამოვიდნენ), არამედ იმიტომ, რომ მათ მიერ შექმნილი ჟურნალისტური პროდუქცია ინტელექტუალური და პროფესიული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იმიტომ ბრძანდებიან პროვინციელები, რომ პროვინციელობა პროვინციული წარმოშობა ჰგონიათ, მოსაუბრისთვის ყურის დაგდება და ნათქვამიდან სწორი დასკვნის გამოტანა არ შეუძლიათ. დაბადების ადგილი არ განსაზღვრავს პიროვნების ინტელექტუალურ დონეს – ინგა მაშინაც პროვინციელი იქნებოდა, თბილისში ნაფაღაურიდან კი არა, ლონდონიდან რომ ჩამოსულიყო.

თანამედროვე საქართველოში, განსაკუთრებით, ჟურნალისტურ წრეებში, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გიორგი გაჩეჩილაძის ნათქვამმა, თბილისში სოფლიდან (პროვინციიდან!) ერთი თვის ჩამოსული ხელში მიკროფონს რომ აიღებს, თავი ჟურნალისტი ჰგონიაო. ყველა მის ოპონენტს უეცრად თითქოს თვალზე ლიბრი გადაეფარა, გონებაზე – ბინდი; თითქოს ყველამ დაივიწყა „უცნობი“ გაჩეჩილაძის დამსახურება (და თავგანწირვა!) ერისა და სამშობლოს წინაშე, ყველა ერთხმად ალაპარაკდა მისი მხრიდან ქართული ჟურნალისტიკისადმი მიყენებულ უმძიმეს შეურაცხყოფაზე.

ოპონენტების ლოგიკა დაახლოებით ასეთია – მერერა, რომ სოფლიდან ჩამოვიდა, „სოფლიდან ჩამოსულები“ იყვნენ ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ილია ჭავჭავაძე, მაგრამ მათ პროვინციელობას, სოფლელობას ვერავინ დააბრალებს... (რატომღაც არავის უხსენებია აკაკი წერეთელი, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კლდიაშვილი, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა, ავლიპ ზურაბიშვილი, აკაკი შანიძე, მოსე გოგიბერიძე, ნიკო ნიკოლაძე, ეროსი მანჯგალაძე...)

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია – დიახ, მე სამტრედიის რაიონის სოფელ ნაფაღაურში დავიბადე, ამიტომ ხელში მიკროფონი არ უნდა ამეღო?

მისდა სასახელოდ, ქალბატონ ინგას არ დაუსვამს ასეთი შეკითხვა – დიახ, გალაკტიონი ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში დაიბადა, ამიტომ ხელში კალამი არ უნდა აეღო?

ინგა გრიგოლიას, მაგდა ანიკაშვილის, ნანუკა ჟორჟოლიანის, მაია ასათიანის ჟურნალისტური მოღვაწეობა იმიტომ კი არ არის პროვინციალიზმით დაღდასმული, რომ მათი რეჟისორები, სცენარისტები, წამყვანები საიდანღაც ჩამოვიდნენ (ან არ ჩამოვიდნენ), არამედ იმიტომ, რომ მათ მიერ შექმნილი ჟურნალისტური პროდუქცია ინტელექტუალური და პროფესიული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იმიტომ ბრძანდებიან პროვინციელები, რომ პროვინციელობა პროვინციული წარმოშობა ჰგონიათ, მოსაუბრისთვის ყურის დაგდება და ნათქვამიდან სწორი დასკვნის გამოტანა არ შეუძლიათ. დაბადების ადგილი არ განსაზღვრავს პიროვნების ინტელექტუალურ დონეს – ინგა მაშინაც პროვინციელი იქნებოდა, თბილისში ნაფაღაურიდან კი არა, ლონდონიდან რომ ჩამოსულიყო.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სააკაშვილის ხელისუფლების დროს ქუჩაში გამოყვანილი, ხელში მიკროფონმიჩეჩული და ჟურნალისტებად მონათლული ახალგაზრდა, თავხედი უვიცების ბრბო გახსოვთ? მათი ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელი ალისტრახო (გვარი აღარ მახსენდება) გახსოვთ? – სწორედ ეს იყო გულისამრევი პროვინციალიზმი, რაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს რატომღაც არ გაუპროტესტებია. ეგრეთ წოდებული „მოდელირებული ქრონიკა“ გახსოვთ? – გარდა საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისა, ისიც გახლდათ გულისამრევი პროვინციალიზმის კლასიკური ნიმუში. „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს არც ის გაუპროტესტებიათ.

რაც შეეხება გია ჯაჯანიძეს, არ ვიცი, რა დავარქვა მის ტელეპროდუქციას „სხვა რაკურსით“, გულისამრევი პროვინციალიზმის გარდა, არის აშკარად ანტისაზოგადოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

ასეთი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, უსასრულოდ შეიძლება.

სჯობს, აქ დავამთავრო. თუმცა, მანამდე, ჩემი მომავალი ოპონენტებისთვის საქმის გასაიოლებლად მოგახსენებთ, რომ დავიბადე სამტრედიაში, ცხოვრების პირველი 17 წელიწადი სოფელ დაფნარში გავატარე. იქაურობა ახლაც მენატრება და სიზმარში იქაური ბალახის სუნი მცემს.

ბედნიერი ვიქნებოდი, იქ ცხოვრების საშუალება რომ მომცემოდა.

თეიმურაზ ქორიძე,
14. 02. 2016 წელი.

◎ ვინ ატყუებს საზოგადოებას?

„რუსთავი-2“-ის საქმის განხილვა მალე განახლდება

გვესაუბრება ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია

– ბატონო პაატა, მოსამართლე ურთმელიძემ რის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც „რუსთავი-2“ კვლავ ძველი მენეჯმენტის ხელში დაბრუნდა?

– როგორც იცით, ძმები ყარამანიშვილების სახელით ტელეკომპანია „საქართველომ“ გაასაჩივრა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დროებითი მართველების დავით დვალისა და რევაზ საყევარიშვილის დანიშვნა, რა თქმა უნდა, იმავე მოსამართლესთან, როგორც ეს არის კანონით განსაზღვრული. მოსამართლემ იმსჯელა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი საჩივარი. ამან ავტომატურად გამოიწვია ძველი მენეჯმენტის უფლებამოსილების აღდგენა.

– ამის მიუხედავად შემდგომ ინსტანციებში თქვენ გამარჯვებისთვის ემზადებით...

– რა თქმა უნდა, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები დაეკმაყოფილებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლიან გადაწყვეტილებას უკანონოდ წართმეული ქონების თაობაზე, ქიბარ ხალვაში 100-პროცენტიანი წილის მფლობელი გახდება. არ გვინდა, მას ხელთ გაკოტრებული კომპანია შერჩეს. მოგეხსენებათ, რომ საჯაროდ გავრცელებულ სატელეფონო საუბრებში, რომლის ავთენტურობაც დადასტურებულია, „რუსთავი-2“-ის თემაზეც იყო საუბარი, იგეგმებოდა გარკვეული დესტაბილიზაცია, შეიძლებოდა დაზიანებულიყო ქონება. ამას გარდა, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ დღევანდელი მენეჯმენტი შეეცდება ახლანდელი მესაკუთრეების სასარგებლოდ გარკვეული გარიგებების დადებას. შეიძლება თავი აერიდებინათ საგადასახადო ვალდებულებებისთვის და ა. შ. გვარამია დღეს ერთმნიშვნელოვნად საეჭვო მეპატრონეთა ინტერესს ატარებს.

– როგორ ფიქრობთ, როდის განახლდება „რუსთავი-2“-ის საქმის მოსმენა?

– დღედღეზე, უფრო კონკრეტულად, მომდევნო კვირაში ველოდებით საპელაციო სასამართლოს უწყებას. გუშინ ვესაუბრე მოსამართლის თანაშემწეს, რომელმაც მითხრა, რომ ერთ-ერთი მხარის საჩივარში იყო ხარვეზი, რომელიც უკვე გამოსწორებულია. უწყებაც და საჩივარიც ერთად უნდა გამომიგზავნონ. ძნელია ამის მტკიცება, თუმცა, სავარაუდოდ მარტის დასაწყისში სასამართლო პროცესი დაიწყება...

ესაუბრა
ნია ფიფია

სიმდიდრე, რომელიც წყალმა უნდა მოგვიტანოს, წყალსვე ნუ ვატანთ!

ARC ერთ წარმატებულ ქვეყანას არ მიუღწევია განვითარების მწვერვალისთვის საკუთარი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გარეშე. ამ სიმდიდრის შესაქმნელად ჩვენს ქვეყანას გააჩნია უნიკალური თვისებების მქონე კონკურენტუნარიანი უპირატესობისა და მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი რესურსული პოტენციალი, როგორიცაა ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი მიწისქვეშა სასმელი წყლის მარაგი. რომელსაც შეუძლია სწრაფად გამოიყვანოს ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისიდან, ფეხზე დააყენოს მუხლმოყრილი საქართველო და უახლოეს პერიოდში მიღწეული იქნეს ხალხის კეთილდღეობა. სწორედ ამ რესურსის „როგორც ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის“ ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად დაკანონებაზე ვიბრძოდი წინა ხელისუფლების დროს და ამას ჩავსჩაჩინებ დღევანდელ ხელისუფლებასაც. პირველმა ტყვია მესროლა შეშინება-დადუმების მიზნით, მეორე კი თავისი უმოქმედობით ფიზიკურად მანადგურებს.

დიახ! მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები კონსტიტუციურად უნდა დაკანონდეს ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად მისი განკარგვის უფლებით ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ე.ი. პირველ რიგში, ქვეყანაა გადასარჩენი და მერე ხალხის უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად, სოციალურად ორიენტირებული, ეკონომიკურად დამოუკიდებელი და ფინანსური აქტივებით ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობისა და ქვეყნის აღმშენებლობის, ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი მოდელის რეალური განხორციელებაა აუცილებელი.

წინა, ნაციონალური ხელისუფლების შეგონებამ ნაყოფი არ გამოიღო, მათი ინტერესი მხოლოდ ჩემს მიერ, დაფასოებული სასმელი წყლის ინდუსტრიული მშენებლობისათვის მოძიებული კაპიტალის ხელში ჩაგდებისა და მისი არამიზნობრივად გამოყენების სურვილით იყო განპირობებული. ისინი გაურბოდნენ ხალხის დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ერთადერთი მოტივით **„მშიერ ბრბოში ჩათესილი შიშის სინდრომი მორჩილების მყარი გარანტიაა, ხოლო მაძღარს საპროტესტო მოვლენებზე ბუნტის ფსიქოლოგია უყალიბდება“** ამ ხედვებით მართავდნენ ქვეყანას იმ ავადსახსენებელ 9-წლიან პერიოდში და სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მომიწია მაშინ წასვლა, რითაც დავაზარალე საკუთარი ოჯახი და ახლობლები, სამაგიეროდ გადავარჩინე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის მიღწევის რეალური იდეა მომავალი თაობების სასარგებლოდ.

სააკაშვილის ხელისუფლებას ასეულობით წყლის ჭაბურღილები ლოტებად გაჰქონდათ აუქციონზე გასაყიდად, თითქოს ჩემს საწინააღმდეგოდ, იგივეს აკეთებს დღეს ბუნებრივი რესურსების სააგენტო. ზედიზედ რამდენჯერმე გაისმა ჩემთან საგანგაშო ზარები: საფრანგეთის და არაბული ქვეყნების შუამავლები დადიან იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და კახეთის რეგიონებში და „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს“ რეკომენდაციით მთავრობის მიერ მიზნობრივად გამოყოფილი თანხებით, წყლის რესურსების ბიოლოგიური კვლევებისა და სხვა აუცილებელი პარამეტრებით გადამოწმებული ობიექტების მისაკუთრებას ცდილობენ, ვაფრთხილებ შესაბამისი დარგობრივი უწყების ხელმძღვანელებს, ბატონებო! თანამდებობებზე რომ სხედხართ ეს ხალხის დამსახურებაა და არა თქვენი, ამიტომაც საქვეყნო-სახალხო საქმიანობას უნდა ეწეოდეთ და არა ისედაც დაკნინებული ქვეყნის უარესად დაკნინებას! ნურავინ შეეცდება ამის გაკეთებას, თორემ მიიღებთ საზოგადოების დიდ რისხვას და უკან დაგრჩებათ თანამდებობაც და ქვეყანაც. გიმეორებთ, წყალი სახალხო საკუთრებაა და იგი უნდა მოხმარდეს ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას!!! დაანებეთ თავი ამ რესურსების ირანში ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში მილებით გატანის, ქვეყნისათვის დამღუპველი, იდეის განხორციელებას ან სხვა ნედლეულის სახით მის ხელაღებით გაყიდვას, მე გამაჩნია უტყუარი ინფორმაცია, რომ თქვენი შუამავალი ემისრები უკვე იძენენ მოსახლეობის კუთვნილ სახნავ-სათეს ფართობებს, როგორც კახეთში ასევე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, იმ ფართობებს რომლებიც ახლო მანძილითაა დაშორებული არსებული სახელმწიფო ჭაბურღილების წყაროებიდან და არტეზიული აუზებიდან. გახსოვდეთ, თქვენი ერთჯერადი არაკანონიერი შემოსავლებით ქვეყანა ვერ გადარჩება და ვერც თქვენ შვილებს წაადგება ამ გზით მოპოვებული შემოსავლები.

პირველ რიგში, ქვეყანა, მამული, სამშობლოა გადასარჩენი, ეს უნდა გაიგოთ, ბატონებო!

ქვეყანაში შექმნილია ყველა წინაპირობა იმისა, რომ მიმდინარე წელი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაძაბული და ბევრად უარესი იქნება, ვიდრე გასული წლის საანგარიშო პერიოდი. ამის დამადასტურებელია „ქართული ოცნების“ მიერ ნაციონალებისადმი ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის სახით გატარებული 3-წლიანი შემწყნარებლური პოლიტიკური ეპოპეა. ისმის კითხვა: **ვინ დარჩა დაზარალებული ამ თავსმოხვეული მიზან-შედეგობრივობაზე ორიენტირებული პოლიტიკით? რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა და მისი განუყოფელი ნაწილი, ხალხი. მიზეზი?** მიზეზი ცალსახა და ნათელია! 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე ნაციონალური მოძრაობის ყველა წამყვან ლიდერს საკუთარი ოჯახის წევრები გაყვანილი ჰყავდათ საზღვარგარეთ, არჩევნების დასრულებისთანავე გაქცეული მრავალი მათგანი მოვაბრუნეთ საზღვრებიდან, ამოვალაგებინეთ ჩალაგებული ხელბარგი და შევთავაზეთ ქვეყნის ერთობლივი მართვა. **შედეგი?** შედეგმაც არ დააყოვნა, მივიღეთ მართვის სადავეებთან მდგომი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის გამაოგნებელი დისკრიმინაცია. ერთ მუჭად შეკრული ნაცების სექტა უფრო შედღაბნენ, ცოტა ხანში მოძლიერდნენ და დაიწყეს პრეზიდენტყოფილის მიერ დანაპირები მუქარის სისრულეში მოყვანა, **„ჩვენ თუ ხელისუფლებას ჩამოგვაცილეს, სულ მალე ნახავთ ქვეყანას „ოცნება“ 90-იანი წლების მექრთამეობის ხანაში როგორ დააბრუნებსო“.** დაიწყო აღებ-მიცემობის წინასწარ დადგმული სცენარით შეთითხნილი ფაქტების გაპიარება „რუსთავი-2“-ის, „ტაბულისა“ და მათი გავლენის სფეროში მოქცეული სხვა მასმედიის საშუალებებით.

დღემდე მათი ქცევის მოტივაცია ემსახურება ერთადერთ მიზანს, როგორმე დაუმტკიცონ საზოგადოებას მმართველი გუნდის უნიათობა და ამ გზით შეაძულონ ისინი საქართველოს მოსახლეობას. შედეგმაც არ დააყოვნა, საზოგადოებაში ნიჰილიზმმა და ხვალინდელი დღის უიმედობამ დაისადგურა. დაიწყო ხელისუფლების კრიტიკა, რაც უფრო გაამძაფრა ლარის დევალვაციამ, ნაციონალების ფავორიტმა, მონეტარული პოლიტიკის განმსაზღვრელმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა საკუთარი უმოქმედობით უფრო გაამწვავა მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური და გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური ფონი, კაცთმოძულე ნეო-ლიბერალურმა ფრთამ, ვაიქართველების მეშვეობით, დაიწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე იერიშის მიტანა და ვეღარც აანალიზებენ, თუ რა ზიზღს სთესავენ ქართველ საზოგადოებაში და რა საფრთხის შემცველია ამ ზიზღით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები.

მოსახლეობა პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომამ გააოგნა, რამეთუ საზოგადოების უდიდეს ნაწილს ძალზედ ეიმედებოდა მისი მოღვაწეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. უდიდესი მოლოდინი გვქონდა ჩვენც, ქართველ მეცნიერთა და საზოგადოებრივი მოღვაწეთა გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც „ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამა“ შევიმუშავეთ და მაკროეკონომიკურ კვლევებს, საპროგნოზო რენტაბელური ბუნებრივი რესურსებიდან კონკურენტუნარიანი უპირატესობის რესურსის გამოვლენისათვის მისი გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივების დადგენის მიზნით 12-წლიანი მუხლჩაუხრელი შრომა მოვანდომეთ. აქვე მინდა დავსძინო რომ, საზოგადოების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც 2014 წელს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თავმჯდომარეობით შექმნილი საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის განვითარების ხელშემწყობი საკოორდინაციო საბჭო 2015 წლის სექტემბერში იქნა გაუქმებული. ერთი თვით ადრე მე, როგორც ავტორს და ჩემთან ერთად თანაავტორ, ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს ზაურ ციხელაშვილს და გურამ სოსელიას ოფიციალურ თანხმობაზე მოგვაწერინეს ხელი, რომ განახლებულ კომისიაში შესულიყო ცვლილებები და ცნობილი, ღვაწლმოსილი, დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერების ახალი – საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს **ალეკო ჩხეიძის,** აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძის,** აკადემიკოს **გიგა ბათიაშვილის,** პროფესორ **ზურაბ გასიტაშვილის,** პროფესორ **ნოდარ ჩხეიძის,** პროფესორ **ირაკლი მიქელაძის,** პროფესორ **კახაბერ ჭეიშვილის,** ქვეყნისათვის თავდადებული საზოგადო მოღვაწეების – **ენვერ ნიჟარაძის, გურამ საღარაძის,** ქალბატონ **ციალა ბექურაიძის,** ექსპერტ სპეციალისტების **დიმიტრი ნიკოლაძის, ბაქარ თოფურიძის, შალვა ნეფარიძის, ჯემალ დავლიანიძის** მონაწილეობით განახლებულიყო სამთავრობო კომისიის მუშაობა, მაგრამ ვიღაც ამოუცნობი პირის ახირებული მოსაზრებით სამთავრობო საკოორდინაციო საბჭო გაუქმდა, ხოლო მიზეზი დღემდე გაურკვეველია და ბურუსითაა მოცული. ამ საკითხზე აუცილებლად უნდა იქნეს პასუხი გაცემული დღევანდელ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ.

პასუხი უნდა გაეცეს იმ უმთავრეს კითხვას, რომელიც დღემდე აღელვებს სრულიად საქართველოს მოსახლეობას. ვინ, ან რა არის ის უხილავი ძალა, რომელიც წინ ეღობება, აფერხებს და განვითარების საშუალებას არ აძლევს ჩვენს ქვეყანას? არადა, მართლაც ძალზედ ახლო მანძილი გვაშორებს ღირსეული, ზნეამაღლებული, წესიერი ცხოვრების პირობებით, წელში გამართული სახელმწიფოს ფორმირებასთან.

უფალმა მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ღირსეული, კულტურული ცხოვრებისა და არსებობის საშუალება გვიბოძა. საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა დედამიწაზე ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების მაღალხარისხიანი, ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი სასმელი წყლის მიწისქვეშა რესურსული პოტენციალით. მისი მარაგები ბევრად აღემატება მსოფლიო მოსახლეობის 7,3 მილიარდზე მეტი ადამიანის ყოველდღიური ბიოლოგიური მოთხოვნილების ნორმას (2-2,5 ლიტრი). დასაშვები საექსპლუატაციო მარაგებიდან ვიყენებთ მხოლოდ 0,75%-ს ე.ი 2,5 $მ^3$/წმ-ში, რაც წელიწადში 50 მილიონი ტონა დაფასოებული პროდუქციის ტოლფასია. ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებიდან 14 თვეში ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მილიარდი აშშ დოლარით, ბიუჯეტი შეივსება 3 მილიარდი აშშ დოლარით. დაქმდება ათეული ათასობით ადამიანი საშუალო ხელფასით – 1500 აშშ დოლარი. ეს ხელფასები გაორმაგდება მე-4 წლიდან დარგობრივი ეკონომიკური პროექტების ამოქმედებით, ხოლო მე-9 და მე-10 წლებში სახელფასო ანაზღაურება გასამმაგდება (4500 დოლარის ეკვივალენტი ლარში), დასაქმდება საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 450 ათასზე მეტი ადამიანი კერძოდ: სოფლისა და სატყეო მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში, ენერგეტიკის, ურბანული განვითარებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში. რაც მთავარია, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში გლეხურ-ფერმერული თანამედროვე სოფლებების ურბანულ მშენებლობაზე, მამაპაპისეულ მიწა-წყალს უნდა დავუბრუნოთ ძირძველი მემკვიდრეები. ზემოთ ხსენებული ურბანული პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელი თანხები და მოცულობითი სამუშაოები გათვლილი გვაქვს დარგობრივი ეკონომიკის კონცეფციებ-პროგრამებში. **თუ „მომავლის სოფლებში“ ცხოვრების მსურველთ არ შევუქმნით ნაყოფიერი შრომის პირობებს, თუ არ ავუშენეთ სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, ბიბლიოთეკა, სამკურნალო ამბულატორიული დაწესებულებები, თუ თავიდანვე არ გავუჩინეთ ადამიანებს ინტერესი გლეხურ-ფერმერულ კლასტერულ მეურნეობებში ერთობლივი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლების სტიმულირებისა, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შევძლებთ სოფლად მათ დამაგრებას, ამიტომ გათვლილი და განსაზღვრული გვაქვს ყველა თანამიმდევრობითი გასატარებელი ღონისძიებების ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმები. შრომის შედეგად მიღებული ჭარბი პროდუქტი ჩვენს მიერ შემუშავებული მთის კოოპერირების კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად თანამედროვე სისტემური მიდგომებით მოხვდება ქალაქის საცალო ვაჭრობის დახლებზე, ხოლო ფერმერი ადგილზე მიიღებს ანაზღაურებას ყოველგვარი მოცდენის გარეშე, მსგავსი მოდელით იმუშავებს ბარის კოოპერირების კონცეფციაც.**

პაატა გიორგაძე.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ქვეყანაში შექმნილია ყველა წინაპირობა იმისა, რომ მიმდინარე წელი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაძაბული და ბევრად უარესი იქნება, ვიდრე გასული წლის საანგარიშო პერიოდი. ამის დამადასტურებელია „ქართული ოცნების“ მიერ ნაციონალებისადმი ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის სახით გატარებული 3-წლიანი შემწყნარებლური პოლიტიკური ეპოპეა. ისმის კითხვა: ვინ დარჩა დაზარალებული ამ თავსმოხვეული მიზან-შედეგობრივობაზე ორიენტირებული პოლიტიკით? რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა და მისი განუყოფელი ნაწილი, ხალხი.

ვინ უმწარებს ვეტერანებს სიბერეს?!

„დაგვიბრუნეთ ჩვენი ჰოსპიტალი“, — ამ შინაარსის ტრანსპარანტებით აღჭურვილმა ვეტერანებმა და მედიკოსებმა ვერის ბაღში გამაფრთხილებელ აქციაზე მოიყარეს თავი. 250 ვეტერანი და მედიკოსი ვეტერანთა ჰოსპიტლის გაუქმებას აპროტესტებდა და მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პერმანენტულ აქციებსა და პიკეტირებას აანონსებდა. ვეტერანებს თანადგომას უცხადებდნენ გენერალთა კლუბის წარმომადგენლებიც.

მოთხოვნების შესასრულებლად ვეტერანებმა ხელისუფლებას 5-დღიანი ვადა მისცეს და ხუთპუნქტიანი გეგმაც ჩამოაყალიბეს, სადაც ჰოსპიტლის შენარჩუნებასთან ერთად, კანონში ცვლილებების შეტანა და ვეტერანებისთვის შეღავათების აღდგენა თუ პენსიის გაზრდა მოითხოვეს.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ აქციის მონაწილეები 27 თებერვლისთვის დიდი ყრილობისთვის ემზადებიან, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ეპატიჟებიან.

For.ge აქციის მონაწილე ვეტერანებსა და მედიკოსებს ესაუბრა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეტერანთა ჰოსპიტლის გადარჩენის კომიტეტის“ ხელმძღვანელი **ვახტანგ მაჭავარიანი** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ აქ არ დგას მხოლოდ ჰოსპიტლის გადარჩენის საკითხი. აქ უფრო ფართო მასშტაბის მოთხოვნებია, რომ სახელმწიფომ ვეტერანთა მიმართ სტრატეგია შეიმუშავოს, მოხდეს ვეტერანების შესახებ კანონის მოდერნიზაცია და ვეტერანებს კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი მიენიჭოთ. რაც შეეხება ჰოსპიტლის გადატანას სამედიცინო ცენტრ „ლანცეტში“, ვახტანგ მაჭავარიანის თქმით, ეს კანონის დარღვევაა, რადგან კანონში ვეტერანების შესახებ პირდაპირ წერია, რომ ვეტერანთა ჰოსპიტლის დახურვის უფლება მხოლოდ პრემიერ-მინისტრს თავისი განკარგულების საფუძველზე გააჩნია.

„ნაცვლად ამისა, განკარგულება გამოსცეს და შეწყვიტეს ვეტერანთა ჰოსპიტლის დაფინანსება, ფიქრობენ, რომ ჩვენ ამას გადავყლაპავთ. ეს არის ჩვენი ბოლო ლოიალური შეთავაზება ხელისუფლების მიმართ. თუ 27 თებერვალს არ მივიღეთ შედეგები, უფრო მკვეთრ აქციებს დავიწყებთ, მათ შორის — პიკეტირებას, ბარიკადებს. ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსი ირაკლი შიხიაშვილი როგორი ბუშტიც არის, ისეთივე საქმეს აკეთებს ბუშტურად, ამიტომ ტყუილია, თითქოს ის ვეტერანებისთვის უკეთეს მომსახურებაზე ზრუნავს. საეჭვოა ის სიტუაციაც, რაც „ლანცეტს“ უკავშირდება, რადგან რეალურად 4-5-ჯერ ძვირი უჯდება სახელმწიფოს ამ მკურნალობის ჩატარება. ნაცვლად იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაკეთდეს ვეტერანთა ჰოსპიტალი და ათჯერ ნაკლები დაუჯდეს სახელმწიფოს ვეტერანების მკურნალობა, შიხიაშვილი ამას სახელმწიფოს ათჯერ უფრო ძვირად უჯენს. „ლანცეტის“ სურვილია, ჩვენგან ხელშეკრულება მიიღოს, რის საფუძველზეც ძალიან დიდი ფული შეუვა. ამის ნახევარი რომ შეუვიდეს ჰოსპიტალს, ვეტერანები ათჯერ უკეთეს მკურნალობას მიიღებენ“.

საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის თავმჯდომარემ, **გია ბერძენიძემ** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ უცხოელ დამფუძნებელს აინტერესებს მხოლოდ საკუთარი ბიზნესი და არა — ვეტერანებისა და მედპერსონალის წინაშე ვალდებულება. ეს იგივეა, საკუთარი გასარემონტებელი სახლიდან ადამიანი გაიყვანო სადღაც მდგმურად, ყოველგვარი გარანტიების გარეშე. ამიტომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ვეტერანებზე და არა — კერძო კომპანიამ.

„ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მედპერსონალი, ჩვენ არ დავთმობთ ამ ადამიანებს, რადგან მე მახსოვს მათი თავდადება. ვეტერანთა ჰოსპიტალთან დაკავშირებით ხელისუფლებას მოვიწვევთ ჭადრაკის სასახლეში, ჩვენს პირობებს გავაცნობთ და მათ გავაკონტროლებთ. რეგიონებიდანაც შემოგვიერთდებიან და ისინიც მოითხოვენ, 22-ლარიანი კომპენსაციის გადახედვას, მისი მსყიდველობითი უნარიდან გამომდინარე. გვიხარია, რომ ჩვენს აქციას შეუერთდა დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე, მისი მოსვლა ჩვენთვის გარკვეულ მესიჯებს ნიშნავს“, — აღნიშნა გია ბერძენიძემ.

ვეტერანის საათის პროდიუსერი **შიო კობიძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ 10-ჯერ ძვირი ჯდება „ლანცეტში“ მკურნალობა და, თუკი ჰოსპიტალში 24 საათით დარჩენა ვეტერანებისთვის 20 ლარი ჯდება, „ლანცეტში“ 200 ლარს ითხოვენ.

„ერთ წელიწადს გვყოფნიდა ფული, რასაც სახელმწიფო გვირიცხავდა, ახლა კი ორ თვესაც არ გვეყოფა. ეს იცის შიხიაშვილმა. მთავარია, რომ დემაგოგიურად უვლიან გვერდს მთავარ საკითხს, რომ ეს არის ჰოსპიტალი, ანუ პროფილური დაწესებულება და ამასაც გვიუქმებენ. ჩვეულებრივი კლინიკიდან ვეტერანს ხუთ დღეში აგდებენ თანხების დაზოგვის გამო. ჩვენს ჰოსპიტალში ბევრი ვეტერანია, რომელიც უკვე ერთი თვეა, წოლით რეჟიმზეა, ანუ ქრონიკულ ავადმყოფებზეა ლაპარაკი. „ლანცეტი“ იქნება თუ პინცეტი, არ გვჭირდება. ელემენტარული აღჭურვილობა რომ შემოიტანონ ვეტერანთა ჰოსპიტალში, გაცილებით უკეთ გვიმკურნალებდნენ. შიხიაშვილი ამბობს, ჩემთვის მთავარია ვეტერანის ჯანმრთელობა და არა ჰოსპიტალიო, გვპირდება ახალი სარეაბილიტაციო ცენტრის 2-3 წელიწადში აშენებას, მაგრამ ამბობს, საამისო სახელმწიფო გარანტია არა აქვს, სიტყვაზე მენდეთო. დავით თევზაძიდან დაწყებული, თამაზ დუმბაძით და სხვა გენერლებით დამთავრებული, ყველა მხარში გვიდგას“.

ვეტერანთა ჰოსპიტლის სანიტარმა **გულნაზი ღვინაშვილმა** კი აღნიშნა, რომ „ლანცეტში“ ერთი ღამის გათევა 180 ლარია და არც ერთ ვეტერანს არ აძლევენ იქ შეღავათს.

„ტყუილია დაპირება, თითქოს „ლანცეტში“ ვეტერანებს კარგად მოემსახურებიან, უბრალოდ, „ლანცეტი“ წაიღებს ვეტერანების ვაუჩერს, სამ დღეში ამოუწურავს თანხას და მერე მათ მომსახურების გარეშე დატოვებენ. როგორც წესი, სხვაგან წასული ჩვენი ვეტერანი უკანვე ბრუნდება და ჩვენთან მკურნალობს, რადგან გაცილებით კარგად ვემსახურებით და ჩვენთან გადასახადი არ არის“.

ჰოსპიტლის გადარჩენის კომიტეტის წევრი **ირმა ზედგენიძე** ჩვენთნ საუბარში აცხადებს, რომ 40 წელია, ვეტერანთა ჰოსპიტალში ექთნად მუშაობს, მის ზურგზე გადაიარა საწოლების თრევამ და ყველა პრობლემამ, ახლა კი გამოდის, რომ ისინი გამოიყენეს და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვასთან ერთად, ვეტერანი ბიჭებიც მოისროლეს.

„შიხიაშვილსა და ხელისუფლებას ამდენი ხალხი ქუჩაში საპროტესტოდ არ უნდა გამოეყვანათ. ეს ვეტერანები ხეიბრები არიან, მენტალურადაც არ ვარგანან. ადვილად გადასაჭრელია ჰოსპიტლის პრობლემა, ამას არ სჭირდება ამდენი აურზაური, არც მიწაა მოსაძებნი, უშველებელი ჰოსპიტალი გვაქვს იამანიძის №3-ში. თუ უნდათ, დღევანდელ სტანდარტებზე გადაგვიყვანონ, ჩვენივე ჰოსპიტალი აღადგინონ. კარგად ვიცი, ამ მიზანმიმართულებას რა უდევს საფუძვლად, შტერი უნდა იყოს ადამიანი, ამას არ მიხვდეს. ჰოსპიტალს წელიწადში 800 ათასი ერიცხებოდა, ახლა აბუჩად გვიგდებენ, ასეთ მიზერულ თანხაზე როგორ მუშაობდითო. სისხლის საერთო ანალიზი ჩვენს ჰოსპიტალში 5 ლარი ჯდებოდა, „ლანცეტში“ კი 20 ლარია. ვემსახურებით ამ გაჭირვებულ ხალხს, ამათ არც ერთი პაკეტი არ დააფინანსებს, ესენი გარიყულები არიან. ამ ვეტერანების შესახებ ყველაფერი ვიცით და, თუ სხვა კლინიკებში ორ წუთსაც არ ესაუბრება მათ ექიმი, ჩვენ ნახევარი საათს ვანდომებთ მათი ჩივილების მოსმენას“, — აცხადებს ირმა ზედგენიძე და განმარტავს, რომ ჰოსპიტალში 170 თანამშრომელი მიზერულ თანხად, 110 ლარად ემსახურებოდა ვეტერანებს, ახლა კი შიხიაშვილის ვითომც შუამდგომლობა სიცრუეა, რადგან „ლანცეტი“ კერძო კომპანიაა და ჰოსპიტლის მედპერსონალს არ აიყვანს.

შიხიაშვილსა და ხელისუფლებას ამდენი ხალხი ქუჩაში საპროტესტოდ არ უნდა გამოეყვანათ. ეს ვეტერანები ხეიბრები არიან, მენტალურადაც არ ვარგანან. ადვილად გადასაჭრელია ჰოსპიტლის პრობლემა, ამას არ სჭირდება ამდენი აურზაური, არც მიწაა მოსაძებნი, უშველებელი ჰოსპიტალი გვაქვს იამანიძის №3-ში. თუ უნდათ, დღევანდელ სტანდარტებზე გადაგვიყვანონ, ჩვენივე ჰოსპიტალი აღადგინონ. კარგად ვიცი, ამ მიზანმიმართულებას რა უდევს საფუძვლად, შტერი უნდა იყოს ადამიანი, ამას არ მიხვდეს. ჰოსპიტალს წელიწადში 800 ათასი ერიცხებოდა, ახლა აბუჩად გვიგდებენ, ასეთ მიზერულ თანხაზე როგორ მუშაობდითო. სისხლის საერთო ანალიზი ჩვენს ჰოსპიტალში 5 ლარი ჯდებოდა, „ლანცეტში“ კი 20 ლარია. ვემსახურებით ამ გაჭირვებულ ხალხს, ამათ არც ერთი პაკეტი არ დააფინანსებს, ესენი გარიყულები არიან.

პარლამენტარი, ომის ვეტერანი **დავით ლორთქიფანიძე** ამბობს, რომ იზიარებს ვეტერანთა გულისწყრომას, რადგან საუბარია ათი ათასობით ადამიანზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ. მისი აზრით, ამ ხელისუფლებამ ბევრი სასიკეთო გააკეთა ადამიანების სოციალური პირობების ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად, თუმცა, არის საკითხები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება.

„სად როგორი კალკულაციით მუშაობენ, მე ვერ გეტყვით, მაგრამ ამოვიდეთ სახელმწიფოს რესურსებიდან, რაც თანხვედრაში უნდა იყოს ვეტერანების ჯანმრთელობასთან“.

გენერალი **თამაზ დუმბაძე** მიიჩნევს, რომ ვეტერანებს საკუთარი ჭერი უნდა ჰქონდეთ და წესიერმა ვეტერანმა „სხვის სახლში შესვლა არ უნდა იკადროს“. რაც შეეხება შიხიაშვილს, გენერლის თქმით, შიხიაშვილი იშორებს ყველას და, მართალია, მან ვეტერანთა საკონსულტაციო საბჭოც შექმნა, მაგრამ ისინი ერთხელაც არ დაუპატიჟებია.

„შიხიაშვილი დამოუკიდებლად წყვეტს ყველაფერს. ის აპიარებს, გენერლები ჩემთან არიანო. სინამდვილეში, არც ერთი გენერალი არ არის მაგასთან“.

ვეტერანთა ჰოსპიტლის გაუქმების შესახებ For.ge საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიციითაც დაინტერესდა. როგორც სამინისტროში აგვიხსნეს, ვეტერანის სტატუსის მქონე პირები ჩართულნი არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში და მათ მომსახურების საუკეთესო პაკეტი ენიჭებათ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მათ საშუალებას აძლევს მათთვის სასურველ და პროგრამაში ჩართულ ნებისმიერ კლინიკაში მიიღონ მომსახურება, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში.

„ვეტერანები სარგებლობენ კიდეც სხვადასხვა კლინიკის მომსახურებით, სადაც მათ გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევები უფინანსდებათ 100%-ით ულიმიტოდ, კრიტიკული და ქირურგიული ჩარევები, ასევე, 100%-ით ულიმიტოდ. რაც შეეხება კლინიკა „ლანცეტის“ მომსახურებას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ვეტერანების მომსახურების შესახებ ამ კლინიკასთან მემორანდუმი გააფორმა ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტმა და ამ მემორანდუმის შინაარსი და პირობები ჩვენთვის უცნობია“, — გვითხრეს ჯანდაცვის სამინისტროში.

ჩვენ ირაკლი შიხიაშვილთანაც ვცადეთ დაკავშირება, თუმცა აგვიხსნეს, რომ მას ესპანელი სტუმრები ჰყავდა.

მანანა ნოზაძე

◎ ინფორმაცია

პანკისელებო — საქართველოსთვის სწორდით!

საძართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ პანკისელი ახალგაზრდებისთვის მიცემული პირობა სრულდება. მიმდინარე წლის 10 იანვარს ხეობაში თავდაცვის მინისტრის ვიზიტისას ადგილობრივმა ახალგაზრდებმა შეიარაღებულ ძალებში სამსახურის სურვილი გამოთქვეს. რადგან საკონტრაქტო სამსახურში გაწვევა ამ დროისთვის უკვე შეწყვეტილი იყო, თინათინ ხიდაშელის გადაწყვეტილებით, საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის ვადა ორი კვირით და მხოლოდ პანკისის ხეობის მცხოვრებლებისთვის გაგრძელდა.

მსურველები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე ჩაირიცხებიან და 10 კვირის განმავლობაში საბაზისო სამხედრო უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში გადანაწილდებიან. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ოთხწლიანი კონტრაქტით 18-დან 35-წლამდე წვევამდელებს და იმ ახალგაზრდებს იღებენ, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო საკონტრაქტო სამსახური. სამხედრო მოსამსახურეები ოთხი წლის განმავლობაში მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ.

ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ცუდად იცნობს დასავლეთს!

ამ ბოლო ხანს ნაცები შეშფოთებული არიან საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერების გამო. ანალოგიური შეშფოთებაალშფოთებები ხშირად ისმის ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდანაც.

გასაგებია, რომ ეს პროცესი მათთვის საკმაოდ სახიფათოა, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2016 წელი საარჩევნო წელია და არსებული პოლიტიკური ძალების სპექტრი იმდენად სუსტი, უნიათო და ხალხისთვის უკვე მოყირჭებულია, რომ საზოგადოების განწყობა არაერთგვაროვანი იქნება, რამაც შესაძლებელია საკმაოდ სერიოზული კატაკლიზმები გამოიწვიოს (არ მეშინია სიტყვა „კატაკლიზმების“).

მმართველი გუნდის განცხადებები იმის შესახებ, რომ „საქართველო ურყევად დგას ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე“, ხშირად საკუთარ თვალებში ნაცრის შეყრაა, რადგანაც ხელისუფლების წარმომადგენლების ნებისმიერი უცხოური ვოიაჟი, მიუხედავად გარკვეული პიარისა, საზოგადოების მხრიდან ხშირ შემთხვევაში დაცინვის საგანი ხდება, დაცინვის, რადგანაც რეალური შედეგი ნამდვილად არ ჩანს.

რუსული პროპაგანდის გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ ძალად ადგილობრივი აგრესიული ლიბერასტები ბეჭდურ მედიასა და რამდენიმე რადიო თუ ტელეკომპანიას ასახელებენ. არადა, აბსოლუტურად არ აქცევენ ყურადღებას უმთავრეს მიზეზს. იმ მიზეზს, რომელსაც საკუთარ თვალში დირეს დაუნახაობა ჰქვია.

რუსული პროპაგანდის გაძლიერების მიზეზი არა ოდენ ტელე-რადიოკომპანიები და ბეჭდური მედიაა, არამედ ის გადაცემები და სიუჟეტები, რომლებითაც აგრესიული ლიბერალიზმის მამამთავრები ცდილობენ „ახალი ქართველის“ შექმნას. იმ ქართველის, რომელიც ნამდვილ, ბებერ ევროპას არაფერში არ სჭირდება.

რაც შეეხება ხელისუფლებას, როგორც აღმოჩნდა, ისინიც მოექცნენ აგრესიული ლიბერალების შედარებით „რბილი“ და „ინტელექტუალური“ ჯგუფის, ანუ რესპუბლიკური პარტიის გავლენის ქვეშ და საერთაშორისო ასპარეზზე დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან.

ამის ნათელი მაგალითები მრავლადაა იმ რეზოლუციებში, რომელთაც ევროპარლამენტარები ნაციონალური მოძრაობის დაკვეთით იღებენ და პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის თავმჯდომარე, დიდი ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ლევან ბერძენიშვილი, პატარა არამზადებთან გიორგი კანდელაკთან და ჩიორასთან, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, „ბაში-აჩუკი“ და „კაკო ყაჩაღი“ არ ექნებათ წაკითხული, გამუდმებით მარცხდება.

ასეთი ხშირი მარცხი გარკვეული ეჭვების საბაბსაც იძლევა და ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა: — შემთხვევით, ერთ ანტიქართულ თამაშს ხომ არ თამაშობენ აგრესიული და შედარებით რბილი ლიბერასტები?

თუ საგარეჯოში ჩატარებულ არჩევნებში ქალბატონი თავდაცვის მინისტრის აქტიურობას და ხალხში გავრცელებულ ინფორმაციას, კოალიციის საარჩევნო სიაში კვოტასთან დაკავშირებულ რესპუბლიკელების მგლურ მადას გავითვალისწინებთ, ისინი არც თუ ისე „რბილი“ ლიბერასტები არიან.

წელს გადამწყვეტი საარჩევნო წელია, გადამწყვეტი იმიტომ, რომ 2016 წლის არჩევნების შედეგები ზუსტად დაგვანახვებს ქვეყნის მომავლის რეალურ პერსპექტივებს. ეს თემა საკმაოდ საკამათოა. საკამათოა, ოღონდ არა იმ ხალხის მიერ, ვინც ევროპას „ცისარტყელას“ ფერებში გვიხატავს, ხოლო რუსეთს მხოლოდ შავში... კამათში მონაწილეობა სპეციალისტებმა, ნამდვილმა ექსპერტებმა და რეალურად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა მიიღონ.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდანაც ისმის განცხადებები კრემლიდან წამოსული საფრთხეების შესახებ. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრი ანი მიროტაძე აცხადებს, რომ **„საფრთხე რუსეთის მხრიდან კი არსებობს ყოველთვის, როგორც პროპაგანდის კუთხით, ასევე ტანკებით, თვითმფრინავებით და ა.შ.**

კრემლიდან საქართველოს წინააღმდეგ ყოველთვის არის როგორც საინფორმაციო ომი, ისე ჩვეულებრივი ომი, სამხედრო დაპირისპირება. ეს საფრთხე იყო, არის და, დიდი ალბათობით, იქნება კიდეც.

კრემლის პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითადი შემადგენელი ნაწილი არის გავლენების კვლავ დაბრუნება საქართველოზე და კიდევ უფრო მასშტაბური გეგმები და იდეები რომ აქვს, ეს ცხადია. სხვა საკითხია, რა არის ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგი და როგორ ვასრულებთ მას; როგორ ვხვდებით ოკუპანტი ქვეყნის ინტერესებს; როგორ ვუმკლავდებით ამ გონებით განუსჯელ მონსტრს და როგორ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება“.

საოცარია, მაგრამ ეს განცხადება, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავ არაფრისმთქმელია, ნაცმოძრაობის და მათი დასავლელი ლობისტების ჟრიამულის შემდეგ გაკეთდა. შემიძლია, დავსვა ყოვლად ბანალური შეკითხვა: — ნუთუ ეს საფრთხეები, მხოლოდ თენგიზ გოგოტიშვილის მიერ ყოვლად უნიჭოდ, დემაგოგიურად, გამაღიზიანებლად გაკეთებული სიუჟეტის შემდეგ გამოჩნდა?

დარწმუნებული ვარ, რომ პასუხს ვერ მივიღებ.

საკითხი მტკივნეულია. ძალიან მტკივნეულია, რადგანაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ზოგჯერ უსარგებლო, მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე მზრუნველი არსებული პოლიტიკური სპექტრი, ვერ შეძლებს ზემოთ ნახსენები კატაკლიზმების შეჩერებას.

„ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება საზოგადოების კონსოლიდაცია ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის გარშემო. ამ მიმართულებით ყველაზე მოკლევადიანი მიღწევა, რაც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, გვაქვს ვიზალიბერალიზაცია. დადებითი ტექნიკური დასკვნა უკვე არსებობს და საჭიროა პოლიტიკური მხარდაჭერის კონსოლიდაცია. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ ჩვენი მხარდამჭერების კონსოლიდაცია, რათა საბოლოო შედეგი დაიდოს“, — განუცხადა პრემიერ-მინისტრმა ქართველ ჟურნალისტებს მიუნხენის კონფერენციის შეჯამებისას.

კი ბატონო, აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ საზოგადოების კონსოლიდაცია ვერანაირად ვერ მოხერხდება იმ „ღირებულებების“ გარშემო, რასაც დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ დასავლური ღირებულებების საზოგადოებისთვის მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები.

დამერწმუნეთ, ბატონო პრემიერო, რომ ვინმე გიგაურის, ლომჯარიას, კოჟორიძის თუ ვაჭარაძის და სხვა „დასავლურად“ მოაზროვნე არსებების მიერ დანახული და მათ მიერ მოწოდებული „ღირებულებები“ ვერანაირად ვერ გამოიწვევს საზოგადოების კონსოლიდაციას და თქვენს მიერ გახმიანებული პრიორიტეტები ისე იკარგება მათს საინფორმაციო სივრცეში, როგორც ცხვარი მშიერი მგლების ხროვაში.

თუ ნამდვილად გსურთ მიუნხენის პრიორიტეტების გარშემო თქვენი მხარდამჭერების კონსოლიდაცია, მაშინ აუცილებლად უნდა გაუხსნათ საინფორმაციო ველი იმ ადამიანებს, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საზოგადოებას ნამდვილ, ჭეშმარიტ, კანონმორჩილ და საოცნებო დასავლეთს აჩვენებენ.

დამიჯერეთ, ხალხი ჯერ კიდევ ცუდად იცნობს დასავლეთს!

გია გაბრიჭიძე

◎ 14 წლისა და... ზემოთ!

რატომ არ მიმართავენ მოზარდები სასამართლოს?

15 თებერვალს გამოქვეყნდა ანგარიში მოზარდთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ. საუბარი შეეხება 14 წელს მიღწეული მოზარდების მიერ სასამართლოს ეფექტურ გამოყენებას საკუთარი უფლებების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეიტინგში დაწინაურებულ პოზიციებზეა, ბავშვთა უფლებების დამცველები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში ამ მიმართულებით მთელი რიგი ხარვეზები არსებობს.

59-ე — სწორედ ეს ადგილი ერგო საქართველოს იმ რეიტინგში, რომელიც ეხება მოზარდთა მიერ სასამართლოს ეფექტურ გამოყენებას საკუთარი უფლებების დასაცავად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. რეიტინგი სულ 197 ქვეყანას მოიცავს. მოწინავე ადგილებს იკავებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ბელგია, პორტუგალია, ესპანეთი, ფინეთი. რეიტინგის ბოლო ადგილები ერგო სომალის, ერითრეას, ეკვატორულ გვინეას.

ანგარიშის ავტორები წერენ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. სწორედ ამ მიმართულებით ხედავს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას **ანა აბაშიძე,** „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი, რომელიც საქართველოში მოზარდთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე საუბრობს. მისი თქმით, მოზარდს უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება, უნდა შეეძლოს აირჩიოს ვინ დაიცვას მისი უფლება — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, თუ მისთვის სასურველმა ადამიანმა ან ორგანიზაციამ, და ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი, მაგალითად, მოზარდი სწორედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უჩივის მისი უფლებების დარღვევისთვის. ანა აბაშიძის თქმით, კანონმდებლობის მიხედვით, მოზარდი ამ უფლებას მოკლებულია:

გაეროს ბავშვთა ფონდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი თეონა კუჭავა ამბობს, რომ, სავარაუდოდ, საქართველოში მოზარდების მიერ სასამართლოსადმი მიმართვიანობის საკმაოდ მწირი გამოცდილება უნდა არსებობდეს. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენ მოზარდს მიუმართავს სასამართლოსთვის საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით, სასამართლო მოსარჩელეთა ასაკობრივ აღრიცხვას არ აწარმოებს. თეონა კუჭავა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის გამოც, მოზარდები არ ან ვერ მიმართავენ სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად:

„პირველი, ინფორმაციის ნაკლებობა; მეორე, პროცედურების ან რეგულაციების სირთულე. ბავშვს ნამდვილად გაუჭირდება ამ პროცედურების აღქმა. ასევე შეიძლება იყოს სისტემის მიმართ ნდობის ფაქტორის არქონა და ა.შ.“

კიდევ ერთი სტრუქტურა, სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც, კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლოა, ჩაერთოს სასამართლო პროცესში, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ დრომდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მოზარდს ამ მიმართულებით დასჭირვებოდეს მათი დახმარება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს და აწესებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ახალ სტანდარტსა და მექანიზმებს. კანონი ეხება კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, მათი უფლებების დაცვას და სხვა. თუმცა როგორც გაეროს ბავშვთა ფონდი, ისე ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ მოზარდთათვის მართლმსაჯულების სრულყოფილი ხელმისაწვდომობისათვის აუცილებელია ფოკუსის გაფართოება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების, არამედ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვების უფლებების დაცვასაც. ამ მიმართულებით, თეონა კუჭავას თქმით, 2016 წლიდან, ევროკავშირის დახმარებითა და იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, იწყება ახალი პროექტი, რომელიც მიმართული იქნება მოზარდთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ.

ნინო თარხნიშვილი

სპეციალური სამსახური, რომელიც სამინისტროებსა და სააგენტოებს გააკონტროლებს

ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს მმართველობის ამომწურავი რეფორმა, რაც გულისხმობს მთავრობის ერთიანი ფრონტ-ოფისის შექმნას, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება იურიდიულ და ფიზიკურ პირებს,–ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ინვესტორთა საბჭოს სხდომის დაწყების წინ განაცხადა.

„ინვესტორებთან კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებისთვის. ჩვენი რეფორმების დღის წესრიგი შეიცავს მნიშვნელოვან საკითხებს, ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით. ახლახანს ჩვენ ჩამოვაყალიბეთ რეფორმების ოთხპუნქტიანი დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს საგადასახადო რეფორმას, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით. მომდევნო დღეებში პრემიერ-მინისტრის აპარატთან ჩვენ შევქმნით სპეციალურ სამსახურს, რომელიც გააკონტროლებს სხვადასხვა სამინისტროსა თუ სააგენტოს მიერ პროექტების შესრულებას. რეფორმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბლოკი მოიცავს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარებას,“ – აღნიშნა პრემიერმა და დასძინა, რომ მთავრობის მიერ დასახული მიზნების გახორციელებისთვის აუცილებელია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ ინვესტორთა საბჭოს რიგით მე-2 სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდისა და საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ეკონომიკური რეფორმების შესახებ.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრები, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში ბრუნო ბალვანერა, საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი სარა უილიამსონი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რეგიონული მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში ჟან ვან ბილსენი, ასევე, აზიის განვითარების ბანკისა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლები და სხვ.

„ვიზეარი“ ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებაში გვეხმარება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ინვესტორთა საბჭოს დაწყების წინ გამოეხმაურა ავიაკომპანია „ვიზეარის“ გადაწყვეტილებას ქუთაისიდან ევროპის მიმართულებით ახალი რეისების დამატებისა და რეგიონში პირველი ბაზის გახსნის თაობაზე. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებას.

„კარგი ამბავი არის ის, რომ „ვიზიარმა“ გახსნა ბაზა ქუთაისში და ჩვენ გვექნება 7 ახალი რეისი ევროპის მიმართულებით. უფრო მეტი პირდაპირი რეისი განხორციელდება ევროპისკენ. ეს კარგია იმიტომ, რომ ორი თვითმფრინავი იქნება მუდმივად მიმაგრებული ქუთაისზე. გაჩნდება 200 ახალი სამუშაო ადგილი ქუთაისსა და თბილისში და განმტკიცდება კავშირები ევროპასთან. ეს, ყოვლისმომცველ ინფრასტრუქტურულ გეგმასთან ერთად, რომელსაც მალე წარვადგენთ, მოგვცემს შესანიშნავ შესაძლებლობას, გვქონდეს ევროპასთან სატრანსპორტო კავშირი ქუთაისიდან. ეს კარგია ტურიზმისა და ბიზნესის განვითარებისთვის და ევროპასთან სატრანსპორტო კავშირის განმტკიცებისთვის,“ – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ავიაკომპანია „ვიზეარი“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ევროპის მიმართულებით შვიდ ახალ რეისს ამატებს. ესენია: ქუთაისი-ბერლინი, ქუთაისი-მიუნხენი, ქუთაისი-მილანი, ქუთაისი-დორტმუნდი, ქუთაისი-სალონიკი, ქუთაისი-ლარნაკა და ქუთაისი-სოფია.

ქუთაისი-ბერლინის ავიარეისები 23 სექტემბერიდან შესრულდება, ბილეთის მინიმალური ღირებულება იქნება 39.99 ევრო; ქუთაისი-მიუნხენის რეისები ასევე 23 სექტემბრიდან დაიწყება და 39.99 ევრო ეღირება, 39.99 ევრო იქნება ბილეთის მინიმალური ფასი ქუთაისი-მილანის და ქუთაისი- დორტმუნდის მიმართულებითაც. ორივე მიმართულებით, ფრენები 25 სექტემბრიდან დაიწყება. რაც შეეხება ქუთაისი-სალონიკის მიმართულებას, ბილეთის მინიმალური ფასი 29.99 ევროდან იწყება და პირველი ფრენა 24 სექტემვერს განხორციელდება. ქუთაისი-ლარნაკას რეისებიც 24 სექტემბრიდან დაიწყება და ფასი 24.99 ევრო იქნება, ხოლო ქუთაისი-სოფიას მიმართულებით, პირველი გაფრენა 24 სექტემბერს შესრულდება და 29.99 ევრო ეღირება.

ახალი მიმართულებებით ფრენები კვირაში ორჯერ შესრულდება, გამონაკლისია ქუთაისი-სალონიკი, რა მიმართულებითაც ფრენის საშუალება მსურველებს კვირაში სამჯერ მიეცემა.

აფხაზეთში ელექტროენერგიას რუსეთიდან შევიტანთ

აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტის და მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მოკლევადიან და ოპერატიულ გზად მიჩნეულ იქნა რუსეთის ფედერაციიდან დამატებითი მოცულობების შემოტანა, – განცხადება ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა, რომელიც აფხაზეთის ელექტრომომარაგების საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა.

„მოგეხსენებათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება, მაგრამ საქართველო, საერთაშორისო სამართალი და თანამეგობრობა ჩვენი ქვეყნის ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებს განვიხილავთ როგორც ერთიანი საქართველოს ნაწილს და შესაბამისად, მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობაა, ერთნაირად იზრუნოს თითოეულ მოქალაქეზე. ეს არის ჩვენი კეთილი ნება და მყარი პოზიცია.

შექმნილი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის და მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მოკლევადიან და ოპერატიულ გზად მიჩნეულ იქნა რუსეთის ფედერაციიდან დამატებითი მოცულობების შემოტანა, რითაც შექმნილი ვითარება გარკვეულწილად დარეგულირდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ამ პრობლემის კომპლექსურად გადაწყვეტის საკითხი გაცილებით რთულია და გრძელვადიან პერსპექტივაში საფუძვლიან მუშაობას საჭიროებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ჩუღურეთში ინფრასტრუქტურა განახლდა

ჩუღურეთის **რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გრძელდება. უშანგი ჩხეიძის №33-სა და ხეთაგუროვის №6-ში მიმდინარე სამუშაოები ჩუღურეთის რაიონის გამგებლმა ზურაბ ჩიკვილაძემ დაათვალიერა.**

უშანგი ჩხეიძის №33-ში, საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა რამდენიმე დღის წინ დაიწყო და მარტის დასაწყისში დასრულდება. 200 კვადრატული მეტრის ფართობზე მიმდინარეობს გზის დაზიანებული საფარის მოხსნა, რის შემდეგაც დაიგება ასფალტის ახალი საფარი, მოეწყობა ბორდიურები და გზის სავალი ნაწილი.

ხეთაგუროვის №6-ში, მდებარე კორპუსის ეზოში შეიცვალა წყლის მილი. აღნიშნულ მისამართზე დაგეგმილია 1000 m^2 ასფალტის საფარის დაგება.

რაიონში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ინტენსიურად და გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს. 2016 წლის პირველ ნახევარში დაგეგმილია ათეულობით შიდა ეზოსა და ქუჩის მოწესრიგება. ახლა მთავარია ტენდერში გარჯვებულმა კომპანიებმა ხარისხიანად და გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყონ მიმდინარე სამუშაოების შესრულება.

ჩუღურეთის რაიონში, მიმდინარე წლის საბიუჯეტო ასიგნებებით, გზებისა და შიდა ეზოების მოასფალტებისთვის 2 650 000 ლარია გათვალისწინებული.

ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე მაზნიაშვილის №33-ში მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდა და აღნიშნული მისამართის მიმდებარედ არსებული სკვერის კეთილმოწყობის პროექტი გააცნო.

„მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე გამგეობის მიერ მომზადდა ახალი სკვერის მოწყობის პროექტი, რომელიც გავაცანით მოქალქეებს. მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ჩართულობა ქალაქის გალამაზებასა და კეთილმოწყობაში. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე და ქალაქს კიდევ ერთი სკვერი შეემატება.“ – განაცხადა ზურაბ ჩიკვილაძემ.

პროექტის ფარგლებში, სკვერში განთავსდება ახალი სკამები და ნაგვის ურნები, დამონტაჟდება განათება, მოეწყობა სავალი ბილიკები.

ჩუღურეთის რაიონში 2016 წლისთვის დაგეგმილია არსებული 30 სკვერის რეაბილიტაცია და 4 ახალი სკვერის მოწყობა.

ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემა მწყობრში ჩადგება

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კახეთის მხარის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.

ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი თებერვლის ბოლოს დასრულდება და დასრულების შემდეგ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის – კარდენახი, ბაკურციხე, კოლაგი – მოსახლეობა 3 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე დრენაჟის სერვისით ისარგებლებს. პროექტის ღირებულება 2 591 000 ლარია.

კახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად წყალუზრუნველყოფილი ფართობი 13 690 ჰექტრამდე გაიზარდა, ხოლო ნიადაგის დაშრობა – 925 ჰექტარზე ხორციელდება. 2016 წლის სარეაბილიტაციო პროგრამით კახეთის რეგიონში იგეგმება 15 სარეაბილიტაციო პროექტის დაწყება ჯამური ღირებულებით 12 943 679 ლარი. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ მელიორირებული ფართობი რეგიონში 6 000 ჰა-ით გაიზრდება.

დავით გარეჯის ახალი სიცოცხლე

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციას ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერა.**

პროექტი ითვალისწინებს სამონასტრო კომპლექსში მდებარე კელიების ფასადების მოპირკეთებასა და კეთილმოწყობას, წყლის, კანალიზაციისა და ელექტრო- მომარაგების ქსელის მოწყობას. ამასთან გაკეთდება ვიზიტიორთა ცენტრი და ავტოსადგომი. გათვალისწინებულია მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სამუშაოების ღირებულება – 1 მლნ ლარია, პროექტის ფარგლებში 30-ამდე ადამიანია დასაქმებული.

ეი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ ნატომ კარი თუ მოგვიხურა...

ჩვენ ფანჯრიდან გადავძვრებით!

„მე რომ ვიყო ასპირანტი ქვეყნიდან, ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ნატოში შესვლა და არა მაპის მიღება“, — განაცხადა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ. მისი თქმით, მაპი როგორც წევრობის სამოქმედო გეგმა, შეიქმნა როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი და მას ასეთი გაზრდილი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს.

აპატურაის ამ განცხადებამ, რომელიც ტელეეთერითაც გადაიცა და პრესაშიც გამოქვეყნდა, ვერ გეტყვით რამდენად გაამხნევა, ან სულაც განწყობა წაუხდინა ქართველ პოლიტიკოსებს, მაგრამ ჩემი კარის მეზობელ, ოთხმოცს გადაცილებულ ვასო ჯორჯაძეს რომ სული აუფორიაქა, ამას პირადად შევესწარი. მართალია, ზოგს ის „ჩამოწერილად“ ეჩვენება, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამხნის კაცი გამოუსწორებელი ოპტიმისტია. სხვამ რაც უნდა ილაპარაკოს, ვასო თავს ბედნიერად თვლის, რომ მოხუცებულობის ასაკში ევროამერიკულად დემოკრატიულ საქართველოში მოუწია ცხოვრებამ. ერთადერთი აუხდენელი ოცნება, რაც ბერიკაცს მაჯლაჯუნასავით აწევს და ღამღამობით ძილს უფრთხობს, ნატოში საქართველოს შეუღწევლობაა. ღვიძავს თუ სძინავს, ვასო ერთთავად იმის ნატვრაშია, ღმერთმა ისე არ გაისტუმროს იმქვეყნად, რომ ნატოში შესვლის წყურვილი არ დაიკმაყოფილოს.

ამის მომენტი თითქოს რეალურად დაუდგა კიდეც ბერიკაცს, როცა ამ ერთი წლის წინათ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით თავად ნატოს „გენსეკი“ ეწვია, მაგრამ მაშინდელმა მისმა გამოსვლამ, ისევე როგორც აპატურაის ამჟამინდელმა განცხადებამ, ვასო ჯორჯაძეს როგორღაც იმედი გაუცრუა. ამანაც იმ „გენსეკივით“ ილაპარაკა, ილაპარაკა და ნატოს კარი კვლავ ჩარაზული დაგვიტოვა.

— კაცოო, — მეუბნება ეზოში დილის ჰაერის ჩასაყლაპად ჩამოსული ვასო ჯორჯაძე, — გამაგებინეთ, როდემდე შეიძლება ვიდგეთ ეს ასპირანტი ქვეყანა მაპის რიგში? ახლა, ამდენი წლის ლოდინის შემდეგ, გვეუბნებიან მთავარი მაპი კი არა, ნატოს წევრობააო, მაგრამ რომ არც წევრად გვიღებენ? ამიხსენით, ნატოს კარი ისეთი რა ევროტექნოლოგიით არის დამონტაჟებული, რომ ერთდროულად ღიაც არის და ჩარაზულიც?

— მაგის ევროატლანტიკური ხიბლი სწორედ ეს არის, ვასო ბატონო, — ვუხსნი ღიმილით, — რომ კარი როცა ღიაა, მაშინაც მოხურულია. ბევრი ამაში ვერ ერკვევა და ჰგონია, დღემდე იმიტომ ვერ შევედით ნატოში, რომ მისი კარი ძალიან ვიწროა, ან ძალიან დაბალი და ვერ ვეტევით.

— როგორ კაცო, — ხელჯოხს აქნევს ვასო, — თავის დროზე ხო გახსოვთ, იმხელა გერმანია და საფრანგეთი თუ გაეტივნენ, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა?

— მე სახელმწიფოზე კი არა, კაცზე გეუბნებით. მიშა ოღრაში როგორ მოზვერივით მიიწევდა ნატოს კარის შესამტვრევად, მაგრამ ეტყობა, მაღალი რო იყო, თავის შერტყმისა შეეშინდა და გამობრუნდა.

— გამოდის, რომ მაპის დასათრევად ფანჯარაში უნდა გადავძვრეთ, — დაიბოღმა ვასო, — თინა ხიდაშელის იმედი მაქვს, რისკიანი ქალბატონია, მაგრამ თავის დროზე მიშა ღია კარში ვერ გაეტია და რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენი ფუმფულა მინისტრი ფანჯარაში გაეტევა?

— შერტყმისა? — შეეჭვდა მოხუცი, — მაგისთვის ეგ არაფერია, მიშას ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მაგრამ არასდროს სტკენია და არც ტვინი შერყვია, ყოველ შემთხვევაში თავად ასე ჰგონია.

— არა, მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ნატოს კარი დაბალია და ჩვენი „მაღალო“ ვერ გაეტია.

— აბა რას ამბობთ, — გაჯიუტდა ბერიკაცი, — მიშამ სადაც მოისურვა, ყველგან შეეტენა, ოდესის გუბერნატორადაც კი და რაღა ნატოს კარის აღება გაუჭირდა? მე მგონია, აქ სხვა რამეშია საქმე.

— მაინც რაში? — დავინტერესდი.

— არ დაუკვირდით, აპატურაიმ რა შეგვაპარა? უსაფრთხოების გარანტიების გარეშე თქვენი ქვეყნისთვის მაპის მიცემა სარისკო იქნებაო.

— ხედავთ, როგორ გვიფრთხილდებიან, — ვეუბნები, — აქაურ მიშნაცებს კი არა ჰგვანან, მთავრობას რომ კისრის წასამტვრევად უბიძგებენ — შევარდით ნატოს შტაბბინაში და მაპს ნებით თუ არ გაძლევენ, ძალით გამოგლიჯეთო.

— აბა კაცო, პირდაპირ მტრებივით იქცევიან, არ ფიქრობენ გზაში რომელიმე მეზობელი ქვეყანა რომ წამოგვეწიოს და დაგვაყაჩაღოს, მერე უმაპოდ სად გავრბივართ?

— რომელზე გაქვთ უფრო ეჭვი, სომხებზე თუ აზერბაიჯანელებზე?

— არც ერთზე, მაგათ, კაცო, ნატოში ქუდი რომ შეუგდო, არ შევლენ და მაპს რა თავში იხლიან?

— თურქეთი ისედაც ნატოს წევრია და ვიღა დარჩა მეზობლებიდან, რუსეთი?

— არც რუსეთს სჭირდება მაგათი მაპი, პირიქით, თუ თანახმა ვიქნებით, აქეთ მოგვცემს მაპს ევრაზიის კავშირში შესასვლელად.

— აბა რატომ ეშინიათ რუსეთისა?

— იციან პუტინის განწყობა და იმიტომ. მან მაპს თუ მოჰკრა თვალი, მის წასართმევად კი არა, ახალი ტერიტორიების საანექსიოდ გამოგვეკიდება.

— მართალი ხართ, — დავუკანტურე თავი მეზობელს, — ეტყობა, ამიტომ იჩენს სიფრთხილეს ჩვენი წინდახედული თავდაცვის მინისტრი, როცა აცხადებს, ნატოს კარის გაღებას რუსეთი არასოდეს დათანხმდება, მაგრამ ფანჯარა აუცილებლად გაიღება საქართველოსთვის და უნდა შევძლოთ ამ ფანჯარაში გადასვლაო.

— გამოდის, რომ მაპის დასათრევად ფანჯარაში უნდა გადავძვრეთ, — დაიბოღმა ვასო, — თინა ხიდაშელის იმედი მაქვს, რისკიანი ქალბატონია, მაგრამ თავის დროზე მიშა ღია კარში ვერ გაეტია და რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენი ფუმფულა მინისტრი ფანჯარაში გაეტევა?

— გაეტევა, სულაც დიეტაზე დაჯდება, ივარჯიშებს, წონაში დაიკლებს და უეჭველად გაეტევა. — ვაწყნარებ ბერიკაცს და ნატოს მომავალ მინისტერიალამდე ვემშვიდობები.

ოთარ ხუციშვილი

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი 26 მაისამდე გააგრძელეს

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი საფრანგეთში პარლამენტის მოწონებით შემოიღეს, 13 ნოემბრის პარიზული ტერაქტების შემდეგ, როდესაც რადიკალური ისლამისტების შეტევების შედეგად 130 კაცი დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაიჭრა. განსაკუთრებული მდგომარეობა თავდაპირველად განისაზღვრა 12 დღით, შემდეგ იგი გააგრძელეს 3 თვით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰოლივუდის საავადმყოფოზე კიბერშეტევას იკვლევენ

ჰაკერებმა დააზიანეს სამკურნალო დაწესებულების კომპიუტერული ქსელი, აიძულეს ექიმები გაუცვალონ ერთმანეთს იმ გამოკვლევათა მონაცემები და ლაბორატორიული ანალიზები, რაც ხელით იყო დაწერილი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, კომპიუტერის განბლოკისათვის უცნობები ითხოვენ თანხას საყოფაცხოვრებო საწოლებზე, რაც 3,6 მილიონი დოლარის ღირებულებისაა.

ანტარქტიდის ყინულის ფენის ქვეშ, შეიძლება იყოს რკინის მეტეორიტები

ანტარქტიდა დედამიწის მეტეორიტებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია, მაგრამ სწორედ აქ აღინიშნება რკინის მეტეორიტების მცირე ოდენობა. მეცნიერები ცდილობენ ეს იმით განმარტონ, რომ ამგვარი სხეულები, მზეზე გაცხელების შემდეგ იჭრებიან ყინულის სისქეში და რჩებიან თვალისათვის მიუწვდომელი.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“: ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდა ირანზე ძლიერ კიბერშეტევას ატომთან დაკავშირებული გარიგების ჩაშლის შემთხვევაში

გეგმა კოდური სახელწოდებით „ნიტრო ზევსს“ დაამუშავეს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველ წლებში. ის ვარაუდობდა ირანის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის და სახელმწიფოს ენერგოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილების გამორთვას. ირანის საკომპიუტერო ქსელში ელექტრონული იმპლანტატების დანერგვისათვის დაიხარჯა ათობით მილიონი დოლარი.

დეპუტატებს იაცენიუკის მხარდაჭერისთვის 1 მლნ.დოლარს სთავაზობდნენ - იულია ტიმოშენკო

უკრაინის ფრაქცია „ბატკივშინას“ ლიდერ იულია ტიმოშენკოს განცხადებით, არსენი იაცენიუკის მთავრობის წინააღმდეგ კენჭისყრაში არმონაწილეობისთვის, დეპუტატებს 1 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ. ამის შესახებ ტიმოშენკომ ტელეკომპანია „112“-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა. მისი თქმით, ეს ფაქტები ანტიკორუფციული ორგანოების მიერ არ გამოიძება, რადგან ისინი დამოუკიდებლები არ არიან.

„დღეს პარლამენტში მუსირებდა იფორმაცია, რომ თითოეული ხმა, რომელიც მთავრობის გადადგომას არ დაუჭერს ხმას, მილიონ დოლარს მიიღებს. ეს რეალურად საშიშია. იმიტომ, რომ მასობრივი შესყიდვა მიმდინარეობდა. და მე ვწუხვარ, რომ ანტიკორუფციული სამსახური ამაზე, შეთქმულებებსა და მაფიის წინააღმდეგ არ იბრძვის. რატომ? იმიტომ, რომ ისინი უკვე შეჭმული ჰყავთ. ისინი მათზე არიან დამოკიდებული“, — განაცხადა ტიმოშენკომ. 16 თებერვალს უკრაინის უმაღლესმა რადამ ვერ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებდა.

ჩინეთმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ერთ-ერთ საღავო კუნძულზე განათავსა

დიდი სიშორის რამდენიმე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი გაჩნდა ვუდის კუნძულზე — ეს არის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში პარასელის არქიპელაგში ყველაზე დიდი კუნძული. ამერიკის შეერთებულ შტატებში განაცხადეს, რომ კომპლექსები წარმოადგენს საფრთხეს თვითმფრინავებისათვის, მაგრამ ფრენებზე ამ რაიონში უარის თქმას არ აპირებენ.

სასამართლომ მოითხოვა, რომ დაეხმაროს გამოკვლევების ფედერალურ ბიუროს, რათა გატეხოს მსროლელის ტელეფონი სან-ბერნარდინოდან, სადაც 14 კაცი დაიღუპა

მკვლევარები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ გატეხონ სმარტფონი რომელიც ლიკვიდირებულ ტერორისტ საიდ ფაირუკს ეკუთვნოდა. მან ცოლთან ერთად ცეცხლი გაუხსნა მუნიციპალურ მოსამსახურეებს საშობაო საღამოზე. მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად, Apple-მ უნდა გადასცეს განკარგულებაში სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა იმისათვის, რომ გვერდი აუარონ დაცვას.

ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ გამოძიება ოფიციალურად დაიწყო

საქმე ეხება 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხს. ამის შესახებ საფრანგეთის პროკურატურაში განაცხადეს, — წერს BBC. ადგილობრივი კანონმდებლობით ეს იმას ნიშნავს, რომ სარკოზი ეჭვმიტანილია. თუმცა, ოფიციალურად ბრალი მისთვის ჯერ არ წაუყენებიათ. 61 წლის სარკოზის გუშინ მთელი დღის განმავლობაში მაგისტრანტთა სასამართლო ჰკითხავდა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ იგი გამოძიების ინტერესი გახდა.

სამი წლის წინათ საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სარკოზიმ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს იმაზე მეტი რაოდენობის თანხა გამოიყენა, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ჯარიმა იმ პარტიას უნდა გადაეხადა, რომელმაც მაშინ სარკოზი პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა. ახლანდელი საქმე კი ეხება იმას, რომ ჯარიმა არა პარტიას, არამედ სარკოზის უნდა გადაეხადა.

როგორც სარკოზი ამ დრომდე აცხადებს, მას არ ჰქონდა ინფორმაცია თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და არ იყო ინფორმირებული დეტალურად კამპანიის ფინანსებთან დაკავშირებით.

ნიკოლა სარკოზი „საფრანგეთის მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის“ ხელმძღვანელია. იგი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტს 2007-დან 2012 წლამდე იკავებდა.

შეიძლება თუ არა მოიზიდო ინვესტიცია?

სანამ ძირითად სათქმელს გეტყოდეთ, ერთ ამბავს, არცთუ უმნიშვნელოს, მოგახსენებთ. ერთხელ ცნობილმა ფეხბურთის კომენტატორმა გენადი ორლოვმა, ჩვენი დაუვიწყარი კოტე მახარაძის მეგობარმა და კოლეგამ, ერთ-ერთი რეპორტაჟის დროს თქვა: „გოლი გაიტანეს მე-15 წუთზე“ და იქვე გამოასწორა თავისი ნათქვამი: „გააქვთ არა გოლები, არამედ ბურთები“. ასე იმიტომ მოიქცა, რომ გაახსენდა ინგლისური „goal“-ის სემანტიკა. ერთ შემთხვევაში იგი ნიშნავს კარს (ფეხბურთის, წყალბურთის, ჰოკეის და მისთანათა თამაშში), მეორეში კი — ბურთის შეგდებას კარში (მ. ჭაბაშვილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“). პირველი მნიშვნელობით „გოლი“ უხსოვარი დროიდან აღარ იხმარება, მეორე მნიშვნელობით კი შეუზღუდავად, თანაც — უმართებულოდ. სტერეოტიპის ბრალია.

თუ დროზე არ მივხედეთ, ასეთივე სტერეოტიპად გვექცევა გამოთქმა „ინვესტიციის მოზიდვა“.

შიში არცთუ უსაფუძვლოა. ამას თუნდაც ერთ-ერთი მაგალითი მოწმობს. როდესაც რედაქტორმა აქტის პროექტის სათაურსა და ტექსტში ნახმარი შესიტყვება „ინვესტიციების მოზიდვის მიზნით“... შეცვალა ფორმით „საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის მიზნით...“ რატომღაც მერე ეს ფრაგმენტი მავანმა ისევ „გადაასწორა“ და პირვანდელი ვარიანტი აღადგინა.

რამდენად მართებული იყო ან ერთის, ან მეორის მიდგომა? ამ კითხვაზე პასუხს გაგვაცემინებს ისევ და ისევ წყარო, რომელიც გვეუბნება, რომ ინვესტიცია და ინვესტირება — გერმანული Investition — არის კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება რაიმე წარმოებაში. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს მოქმედებასთან, **მოქმედებას** კი ვერც **მოიზიდავ** და ვერც **მოიძიებ**. როგორც ვერ მოახერხებ კარში **გოლის** შეგდებას (**ბურთის შეგდების შეგდებას**), ასევე ვერ მოახერხებ **ინვესტიციის დაბანდებას (კაპიტალის დაბანდების დაბანდებას** ან, როგორც ახლა უმართებულოდ ამბობენ, **ჩადებას**).

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში გაბატონებულია ეს უხეირო ფორმები. ამას თუნდაც ქვემოთ მოყვანილი ფრაზები მოწმობენ: „...ასეთი შეხვედრების დროს ხდება მეცნიერებისა და მეწარმეების პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება, **ინვესტიციების მოზიდვა...** აუცილებელია **ინვესტიციების მოძიება“;** „დადგა დრო საქართველოში **ინვესტიციის ჩადებისაო...“;** „...ნამდვილად ვიცი, რომ თურქეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველი ბიზნესმენი ფიქრობს საქართველოში **ინვესტიციების ჩადებას“** და მრავალი სხვა — დაუსრულებლად.

ამავე დროს, თუმცა, იშვიათად, მაინც გვხვდება სწორი ფორმები: **„საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვა... ინვესტორების მოზიდვა...“** („სრ, 15.III.02); „ — ეს ის დროა, როცა საქართველო... **ეძებს ინვესტორებს, კაპიტალს,** რომლის **ჩადება** ჩვენს მეურნეობაში ქვეყანას დროებით მაინც გამოახედებდა თვალში“; წელს ბევრად უფრო მეტი **საინვესტიციო კაპიტალი** ჩაიდება და, სავარაუდოდ, ყაზახეთი, შესაძლოა, გახდეს საქართველოს ნომერ პირველი ინვესტორი... კმაყოფილი ვართ იმ დინამიკით, რომლითაც საქართველოში **საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვა....** მიმდინარეობს...“ (საქართველო და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევენ, რომ **ინვესტიციის მოზიდვის, მოძიების დაბანდების, ჩადების** ნაცვლად უნდა ვიხმაროთ **საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვა, მოძიება, დაბანდება, ინვესტორების მოზიდვა** და ა. შ.

ოთარ კაპანაძე

საქართველო

საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა

კრედიტის/სესხის No.: 2843-GEO

დავალების სახელწოდება: საქართველოს საგზაო სექტორისათვის ტექნიკური რეგულაციების (ინსტრუქცია ნორმატივები და ა.შ.) შექმნა, განახლება და მათი ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან

კონტრაქტი/ RFP No: RCIP/CS/QCBS-18

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: საქართველოს საგზაო სექტორისათვის ტექნიკური რეგულაციების (ინსტრუქცია ნორმატივები და ა.შ.) შექმნა, განახლება და მათი ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება აზიის განვითარების ბანკის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოს მიხედვით „Guidelines on the Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers“ (2013 წლის მარტის გამოცემა) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით **https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=126182** არაუგვიანეს 2016 წლის 15 მარტისა.

GEORGIA

ROAD CORRIDOR INVESTMENT PROGRAM

Credit/Loan No: 2843-GEO

Name of the Assignment: CONSULTING SERVICES FOR INNOVATION AND HARMONIZATION OF GEORGIAN ROAD TECHNICAL REGULATIONS ACCORDING TO EU STANDARDS

Contract/ RFP No: RCIP/CS/QCBS-18

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Road Corridor investment Program (RCIP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service **INNOVATION AND HARMONIZATION OF GEORGIAN ROAD TECHNICAL REGULATIONS ACCORDING TO EU STANDARDS.**

Approximate duration of the assignment: 18 months.

The Consultant will be selected based on the "Guidelines on the Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers"(March 2013) using the Quality and Cost Based Selection (QCBS) method.

The Expressions of Interest will be submitted by means of the ADB web page: **https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=126182** not later than **March 15, 2016.**

საქართველო

საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა

კრედიტის/სესხის No.: 2843-GEO

დავალების სახელწოდება: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება

კონტრაქტი/ RFP No: RCIP/CS/QCBS-15

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: "შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დეტალური პროექტის მომზადება"

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 9 თვე.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება აზიის განვითარების ბანკის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოს მიხედვით „Guidelines on the Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers“ (2013 წლის მარტის გამოცემა) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილ უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით **https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=126093** არაუგვიანეს 15 მარტი 2016

GEORGIA

ROAD CORRIDOR INVESTMENT PROGRAM

Credit/Loan No.: 2843-GEO

Name of the Assignment: Preparation of the Detail Design for Rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Secondary Road Section

Contract/ RFP No: RCIP/CS/QCBS-15

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Road Corridor investment Program (RCIP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service: **Preparation of Detail Design for Rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Secondary Road section**.

Approximate duration of the assignment: 9 months.

The Consultant will be selected based on the "Guidelines on the Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers"(March 2013) using the Quality and Cost Based Selection (QCBS) method.

The Expressions of Interest will be submitted by means of the ADB web page: **https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=126093** not later than **March 15, 2016.**

◎ წყალბურთი

ლიგის სიმძიმეს ვერ ვერევით

საქართველო – უნგრეთი 10:20 (1:2, 1:7, 4:5, 4:6)

საქართველო: **ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (2), ალექსანდრე ყაზახიშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა (4), გიორგი ხვედელიანი (2), მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (2), კონსტანტინე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ბექა კაპანაძე, მწვრთნელები – იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.**

უნგრეთი: **ვიქტორ ნადი, ბენს ფოლოპი, ბენს ბატორი (3), ფერენც სალამონი (4), მარონ ვამოში (1), დავიდ იანშიკი (1), ადამ დეკერი, კრისტიან მანჰერცი (3), დერდო ზალანკი (6), მარტონ ტოტი (1), კრისტიან ბედო (1), ტამაშ მეზეი, დავიდ ბისტრიტსანი, მწვრთნელები – ტიბორ ბენედეკი, იშტვან დერდელი.**

წყალბურთელ ვაჟთა მსოფლიო ლიგის გათამაშებაში ევროპის 12 უძლიერესი გუნდი ასპარეზობს. საქართველოს ნაკრებს შარშან წილად ხვდა ბედნიერება, ელიტაში ეთამაშა. ეს პატივი ჩვენმა ბიჭებმა 2014 და 2016 წლების ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში მიღწეული წარმატებისა და ფინალურ სტადიაში ზედიზედ ორჯერ მონაწილეობის გამო დაიმსახურეს, თუმცა, ლიგის პირველმა წრემაც ნათლად გვაჩვენა, რომ ელიტის სიმძიმის დაძლევა გვიჭირს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ქართველი წყალბურთელები საერთაშორისო სარბიელს გაუშინაურდნენ და გამოცდილება მიიღონ, რომელიც უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებებში გამოადგებათ.

იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის შეგირდები 2015 წელს ლიგის პირველ წრეში უნგრელებსა (10:17) და ბერძნებთან (10:18) სტუმრად, ხოლო რუმინეთთან (11:13) შინ დამარცხდნენ. მეორე წრის პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა ცხრაგზის ოლიმპიურ ჩემპიონ უნგრეთის გუნდს უმასპინძლა. ანგარიში მადიარებმა (სალამონი) გახსნეს და პირველი პერიოდი მინიმალური უპირატესობით მოიგეს (2:1). სამაგიეროდ, მეორე რვაწუთიან მონაკვეთში მათ ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და შეხვედრა ათბურთიანი სხვაობით გამარჯვებამდე მიიყვანეს – 20:10.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ლიგაზე 26 აპრილს შინ საბერძნეთს შეხვდება, 10 მაისს კი ბუქარესტში რუმინეთთან გაარკვევს ურთიერთობას.

გივი გაგუა

◎ ძიუდო

კვარცხლბეკზე – ახალი სახე(ლ)ები

ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკ ძიუდოისტთა საინტერესო ორთაბრძოლები. საქართველოს ჩემპიონატში მედლებისთვის ჭაბუკებიც იბრძოდნენ და გოგონებიც. ბიჭებში ტურნირის მონაწილენი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური საკვალიფიკაციო შეჯიბრებების შემდეგ შეიერჩა. ამ ასაკის უწინდელი ნაკრების ლიდერებმა ახალგაზრდულ ნაკრებში გადაინაცვლეს. ამიტომ ირაკლი ცირეკიძესა და მინდია ბოდაველს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება უწევთ. ამდენად, საქართველოს პირველობას ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა პაექრობები მძიმე წონაში. თბილისელი გელა ზაალიშვილი ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ამ წონის ლიდერის – ამირან წიქორიძის შესაბოჭავად მან 29 წამი იმყოფინა.

მარტში მედალოსანთა სრული შემადგენლობა ანტალიის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. იქაური შედეგებით გამოიკვეთება ძირითადი ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება.

საქართველოს პირველობაზე, ზაალიშვილის გარდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ლაშა ნადირაძე (50 კგ, გორი), ამირან დარბაისელი (55, საგარეჯო), ლაშა ბექაური (60, დედოფლისწყარო), ალეკო მამიაშვილი (66, გორი), ბაჩანა სარქისაშვილი (73, ახმეტა), პაატა მარტიაშვილი (81, თბილისი), ომარ საური (90, გორი).

გოგონებში პირველები იყვნენ: სალომე გულისაშვილი (40, საგარეჯო), სალომე ბლიაძე (44, საგარეჯო), ნატალია ყიფშიძე (48, საგარეჯო), ნინო მგელაძე (52, აჭარა), ელენე ბებოშვილი (57, თბილისი), ქრისტინე მამულაძე (63, აჭარა), სალომე მჭედლიშვილი (70, საგარეჯო), სოფიო სომხიშვილი (+70, თბილისი).

ლექსო ცინცაძე

◎ მძლეოსნობა

ერთი რეკორდი და ორი ლიცენზია

1999-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა ევროპის პირველ ჩემპიონატს წლეულს ზაფხულში თბილისი უმასპინძლებს. ამ ტურნირში საასპარეზოდ სალიცენზიო ნორმატივებია შესასრულებელი. საქართველოდან სამ სპორტსმენს (სიგრძეზე მხტომელ რომან ბადრიძეს, ბადროს მტყორცნელ ბადრი ქიმაძესა და 400 მეტრზე რბენაში დავით ლუკავას) უკვე მოპოვებული ჰქონდა საგზურები. ახალგაზრდა მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის პირველობაზე ნორმატივები ასევე შეასრულეს ბადროს მტყორცნელმა გია დავითაშვილმა და უროს მტყორცნელმა დავით ოჩიგავამ. საბა სოსელიამ შვიდჭიდში იასპარეზა და ჭოკით ხტომაში 4.30 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რითაც საქართველოს თავისივე რეკორდი 10 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

საქართველოს 17-წლამდელთა ზამთრის პირველობაზე რამდენიმე სპორტსმენი სალიცენზიო ნორმატივებს მიუახლოვდა, კერძოდ, საბა სოსელია, წინაღობებით რბენაში მარიამ ფხალაძე და საბა ხვიჩავა, უროს მტყორცნელი ნინო წიქვაძე და სხვები. ევროპის პირველობამდე დრო არის და, იმედია, საგზურების მფლობელთა რაოდენობაც გაიზრდება.

აქვე ზამთრის ჩემპიონატში პირველ ადგილებზე გასულთა ვინაობას გაგაცნობთ:

გოგონები. 60 მ. ნინო გომარელი (8,21) **200 მ.** სალომე მენთეშაშვილი (26,84), **400 მ.** სალომე მენთეშაშვილი (1.01,81), **800 მ.** ნინა ცერცვაძე (სამივე-თბილისი, 2.31,13), **1500 მ.** მარიამ ფხალაძე (ჭიათურა, 5.04,37), **3000 მ.** მარიამ ფხალაძე (11.56,38), **2000 მ/დაბრკოლებებით.** მარიამ ფხალაძე (7.25,60), **60 მ/თარჯებით.** თამუნა ცერცვაძე (11,57), **სიმაღლეზე ხტომა.** მარი მწითური (160 სმ), **სამხტომი.** მაკა სანიკიძე (10,12 მ), **სიგრძეზე ხტომა.** ჯენეტი გოდაბრელიძე (5,22 მ), **ჭოკით ხტომა.** სალომე ინჯგია (3,00), **ბირთვი.** სალომე თურმანიძე (11,20), **შუბი.** ანა ჩოხელი (29,42), **ბადრო.** სალომე თურმანიძე (32,97), **ურო.** ნინო წიქვაძე (ყველა-თბილისი, 56,48).

ბიჭები. 60 მ. ლუკა ყუფუნია (7,39), **200 მ.** ამირან თავართქილაძე (ორივე-თბილისი, 24,10), **400 მ.** დავით ლუკავა (ზუგდიდი, 52,22), **800 მ.** საბა ხვიჩავა (ფოთი-თბილისი, 2.02,63), **1500 მ.** საბა ხვიჩავა (4.09,00), **3000 მ.** საბა ხვიჩავა (9.22,92), **2000 მ/დაბრკოლებებით.** საბა ხვიჩავა (6.06,69), **60 მ/თარჯებით.** ლუკა ყუფუნია (8,82), **შვიდჭიდი.** საბა სოსელია (ზუგდიდი, 4135 ქულა), **სიმაღლეზე ხტომა.** ზურაბ მიქაია (თბილისი, 180 სმ), **სამხტომი.** გიორგი ფოფხაძე (ქუთაისი, 13,14 მ), **სიგრძეზე ხტომა.** რომან ბადრიძე (7,01მ), **ჭოკით ხტომა.** გიორგი ბურდიაშვილი (ორივე-თბილისი, 4,70), **ბირთვი.** გიორგი კეთილაძე (ხონი, 14,92), **შუბი.** ლუკა გელაშვილი (40,23), **ბადრო.** გია დავითაშვილი (ორივე-თბილისი, 53,94), **ურო.** დავით ოჩიგავა (აბაშა, 63,85).

ლაშა დიდია

◎ ჩემპიონთა ლიგა

მირაჟი

სტატისტიკა რომ მხოლოდ ციფრების თამაშია, ჩემპიონთა ლიგის სასტარტო პლეიოფებმაც დაამტკიცა.

მოგეხსენებათ, „პარი სენ-ჟერმენი“ მთელი სეზონის განმავლობაში მუსრს ავლებს მეტოქეებს, „ჩელსი“ კი პრემიერ-ლიგის სატურნირო ცხრილში მისთვის შეუფერებელ მეორე ნახევარში ტკეპნის ადგილს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „არისტოკრატთა“ დაცვის ბურჯები ტერი და ზუმა ტრავმირებულნი არიან, ხოლო გუნდის შარშანდელ მიღწევათა სულისჩამდგმელი და შეტევათა ლიდერი აზარი შორსაა ოპტიმალური კონდიციებიდან, ამ წყვილში უპირობო ფავორიტად ბევრი ფრანგებს მიიჩნევდა. საფუძვლიანადაც, მაგრამ მათი მერვედფინალური რაუნდის პირველმა მატჩმა დაადასტურა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგაზაფხულო სათასო სისტემას ისეთი სპეციფიკა აქვს, წინასწარ არავის ჩამოწერა არ შეიძლება.

„პარი სენ-ჟერმენი“ – „ჩელსი“ 2:1

გოლები: იბრაჰიმოვიჩი, კავანი; მიკელი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას პორტუგალიისა და რუსეთის წამყვან კლუბთა დუელზეც – „ბენფიკა“ წლეულსაც ტიტულისთვის იბრძვის, „ზენიტს“ კი გაჭიანურებული ზამთრის არდადეგების შემდეგ სათამაშო პრაქტიკა აკლია და თანაც დებიუტანტები უნდა შეაჩვიოს ძირითად შემადგენლობას.

„ბენფიკა“ – „ზენიტი“ 1:0.

გოლი. ჟონასი.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ჯეიმსმა ბრაიანტს გადაასწრო

„კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩებში ჩაგდებული ქულებით კობი ბრაიანტს გაუსწრო და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ტორონტოში ჩატარებულ „ოლ სტარზე“ „მეფემ“ 13 ქულა ჩააგდო, ხოლო კობიმ – 10, ჯამში კი კობის 290 ქულა დაუგროვდა, ლებრონს – 291.

„ყველა ვარსკვლავის“ 5 საუკეთესო მექულე:

ლებრონ ჯეიმსი – 291,
კობი ბრაიანტი – 290,
მაიკლ ჯორდანი – 262,
ქარიმ აბდულ-ჯაბარი – 251,
ოსკარ რობერტსონი – 246.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სინტიას ფიქრნი

ფიქრნი თავისუფლებისა, არს ფიქრი მართალი, რამეთუ თავისუფლება არს მსახური სიმართლისა. სიმართლე კი ის არს, რომ ასული შვენიერ და ტანაშოლტილი, ასული ლამაზი და გულთამპყრობელი, ასული შვილი კოლუმბიისა – სინტია კოლორადო, ტრფიალ არს ფეხბურთისა და ნაკრებისა სამშობლოსა მისისა.

თუმცა, გარნა ოდეს სამშობლოთი და ეროვნებით განიზომების სინტიას ტრფიალება ფეხბურთისა?! ქალსა ესე შვენიერს, ტრფიალებითა დიდითა უყვარს შვილი პორტუგალიისა და ვარსკვლავი სრულიად ფეხბურთისა, კრიშტიანუ რონალდუ, რომელთან თანაყოფასა და გადაჯვარედინებასა სინტია ესე ისახავს ოცნებად თვისსა.

ხოლო ბრგე რონალდუმან უკეთუ გაიგო ამბავი ესე სინტიას ტრფიალებისა, წინაშე მოკალმეთა, სიხარულითა დიდითა რქუა, რომ იგი გინა დღისით და გინა ღამესა, მზად არს აათამაშოს მკერდი სინტიაისი და მას ისევე მოექცეს, ვითარცა ნოდარ ხადური ლარს და ვითარცა პუტინი დემოკრატიას.

რუსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

გიორგი აბურჯანია – ტურის სიმბოლურში

ტარაგონას „ხიმნასტიკის“ ქართველ ახალწვეულს გიორგი აბურჯანიას ესპანეთის სეგუნდა – დივიზიონის განვლილ ტურში შესანიშნავი თამაში სიმბოლურ გუნდში მოხვედრით დაუფასდა. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი goldeplata.com-ის ვერსიით, ტურის საუკეთესო 11 ფეხბურთელს შორისაა.

გასულ უქმეებზე ტარაგონელებმა 1:0 მოუგეს „ელჩეს“ და ერთადერთ გოლში ქართველმა ნახევარმცველმა ლომის წილი დაიდო: სამ მეტოქეს გასცდა, შემდეგ მოხდენილი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ნარანხო და მანაც გაიტანა. მოკლედ, გარღვევაც კარგი იყო და პასიც.

აბურჯანიამ შეუცვლელად ითამაშა. „ხიმნასტიკი“ ამ მოგებით მეორე ადგილზე გადავიდა და პრიმერაში გადასვლის კარგი შანსიც აქვს.

ბადრი იაშვილი

ეპიტაფია

დიდი შემოქმედი და ერისკაცი

ბაჩანა ბრეგვაძის ხსოვნას

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, თანამედროვე ქართულმა მეცნიერებამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი, ჭეშმარიტი ერისკაცი **ბაჩანა იოსელიანის ძე ბრეგვაძე**.

ბაჩანა ბრეგვაძე ათწლეულების განმავლობასი ჩუმად, უხმაუროდ, ღირსების გრძნობით გამსჭვალული ემსახურებოდა დიდ ეროვნულ საქმეს — მშობელ ხალხს აზიარებდა მსოფლიოს ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ნააზრევის საუკეთესო ნიმუშებს და ამით თანამემამულეთა ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოებას უწყობდა ხელს, მათში კაცთმოყვარეობის, სათნოებისა და სიკეთის გაღვივებას ემსახურებოდა...



ბაჩანა ბრეგვაძე დაიბადა 1936 წლის 11 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. 1954 წელს სხვავის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა. შემდგომ სწავლა განაგრძო და 1971 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

ბაჩანა ბრეგვაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტად, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროს მეცნიერ-რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის „რუსთაველის ბიბლიოთეკის“ რედაქციის გამგედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში სტუდენტებს ასწავლიდა ბერძნულსა და ლათინურ ენებს, კითხულობდა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის კურსს. ყველგან, სადაც კი იღვაწა ამ კელაპტარივით წმინდა და უსათნოესმა პიროვნებამ, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, როგორც სულიერი არისტოკრატიზმის ერთ-ერთმა უმშვენიერესმა გამოხატულებამ, კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველა, რომ პატრიოტიზმი პროფესია კი არ არის, არამედ პროფესიონალიზმი, უმაღლესი სტანდარტების პროფესიონალიზმია პატრიოტობა...

ბაჩანა ბრეგვაძის სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა იტალიელ პოეტთა მისეული თარგმანები. დებიუტი მართლაც რომ ბრწყინვალე გამოდგა და სალიტერატურო სამყაროს ახალი, უნიჭიერესი, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე შემოქმედის დაბადება ამცნო.

მას შემდეგ ამ ბრწყინვალე მწერლის, მეცნიერისა და მოაზროვნის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ბაჩანა ბრეგვაძე სრულყოფილად ფლობდა ძველბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, რუსულ ენებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი არ იყო პოლიგლოტი ამ სიტყვის ტრივიალური გაგებით. ბატონი ბაჩანა ამ ენების წიაღს იცნობდა, მათ ყველა კუთხე-კუნჭულს, იცნობდა გამოწვლილვით, დაგემოვნებით. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მისი თარგმანები, თითქმის უკლებლივ ყველა ბაჯაღლო ოქროს სინჯისაა და ამიტომაც იკავებს მეტად საპატიო ადგილს ქართული მწერლობის საგანძურში. დიახაც, რომ ბაჩანა ბრეგვაძის სწორუპოვარი თარგმანებით ეზიარა ქართველი მკითხველი ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიურ წიგნებს, არისტოტელეს „პოეტიკას“, პლატონის „ნადიმს“ „ფედონს“, „იონს“, „დიდი ჰიპიას“, „მენონს“, „ტიმეოსს“, ადრეულ დიალოგებს, „პარმენიდეს“, „სახელმწიფოს“, პლოტინის „ენეადებს“, „მშვენიერებისათვის“, ფსევდო-ლონგინეს „ამაღლებულისათვის“, ჰერაკლიტე ეფესელის „ფრაგმენტებს“, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანს“, მარკუს ტულიუს ციცერონის „სციპიონის სიზმარს“, დანტეს „ახალ ცხოვრებას“, მარკუს ავრელიუსის „ფიქრებს“, ბლეზ პასკალის „აზრებს“, პოლ ვალერის „რჩეულ პროზას“ და „სულის კრიზისს“, ნიკოლო მაკიაველის „მთავარს“, ლაროშფუკოს „მაქსიმებს“, მიშელ მონტენის „ცდებს“, ევრიპიდეს „მედეას“, ალბერტ აინშტაინის წერილებს, ნიკოლოზ ბერდიაევის ესსეებს, ნაპოლეონ ბონაპარტეს „წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმებსა და აზრებს“, ანრი ბერგსონის „ცნობიერების უშუალო მონაცემებს“, სერვანტესის „დონ კიხოტს“, ჰენრიკ იბსენის დრამებს, ანტუან დე სენტ ეკზიუპერის „პატარა უფლისწულს“, ვერნერ ჰაიზენბერგის „მშვენიერება ჭეშმარიტების ბრწყინვაა“, ხოსე ორტეგა ი გასეტის „ხელოვნების დეჰუმანიზაციას“ და „მასების ამბოხს“, ართურ შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმებს“, ლუიჯი პირანდელოს „ჰენრიხ მეოთხეს“, ალბერტ შტეკლის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიას“, სვამი ვივეკანანდას ნაწარმოებებს, შარლ დილის „ბიზანტიის იმპერიის ისტორიას“, გაბრიელა მისტრალის მინიატიურებს, ლორკას, მაჩადოს, ჰიმენესის პოეზიას, ჯეიმს დარმსტეტერის ნაშრომს „სპარსული პოეზიის სათავეებთან“, ანატოლი ფრანსის „ბატონ ჟერომ კუანიარის აზრებს“... ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ სახტად დავრჩეთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ იმაში, რისი გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს, თუკი ცხოვრების მიზნად მშობელი ერისა და ხალხის უანგარო, მუხლჩაუხრელ სამსახურს დაისახავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის იგავმიუწვდენელი კომენტარები, ბატონმა ბაჩანამ რომ დაურთო თავის თარგმანებს. ამ კომენტარებში სრულად გამჟღავნდა ბაჩანა ბრეგვაძის ინტელექტი, ფართო თვალსაწიერი, დახვეწილი ლიტერატურული ალღო და გემოვნება. ეს არც არის გასაკვირი, იგი ხომ ენციკლოპედიური განათლების მქონე შემოქმედი გახლდათ, დიდი მეცნიერი. მისი თხზულებათა ოთხტომეული, რომლებშიც იგი გატაცებით იკვლევდა მარკუს ავრელიუსის, ფსევდოლონგინეს, პლატონის მიქელანჯელოს, ნიკოლოზ მაკიაველის, ბლეზ პასკალის, შოთა რუსთაველის ქმნილებებს, გვხიბლავს მასშტაბურობითა და აზროვნების სიღრმით. დიახ, ბაჩანა ბრეგვაძე დიდი წარმატებით იკვლევდა ანტიკურ ფილოსოფიას, პლატონისა და ძველი რომაელი მოაზროვნეების შემოქმედებას, რუსთაველის ფილოსოფიის ანტიკურ წყაროებს, აღორძინების ეპოქის ხელოვნებასა და პოეზიას, თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის მიღწევებს.

ბაჩანა ბრეგვაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად და სასახელოდ აგრძელებდა დიდ ქართველ მეცნიერთა ტრადიციებს.

ბაჩანა ბრეგვაძეს მინიჭებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, დავით აღმაშენებლის, საბას სახელობის პრემიები. ორგზის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სულ ახლახან 80 წლისა შესრულდა ეს დიდი შემოქმედი და ერისკაცი. ვერ მოვასწარით სიცოცხლეშივე გვეთქვა მადლობა მისი ნაღვაწისათვის, მისი მამულიშვილობისათვის. ისღა დაგვრჩენია, რომ მუხლი მოვუყაროთ მის უმშვენიერეს სულს და ასე გამოვეთხოვოთ სამშობლოს უებრო სამსახურში სრულად დახარჯულ რაინდს საქართველოისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 2 93-37-87, 599 797679

სანთელი

მარადისობაში შეაბიჯა ჩვენმა დიდმა მეგობარმა და ერთგულმა თანამებრძოლმა

მარადისობაში შეაბიჯა ჩვენმა დიდმა მეგობარმა და ერთგულმა თანამებრძოლმა, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მერაბ ჯიბლაძემ**. დაგვშორდა, რათა მიახლოვებოდა ერთი წლის წინათ ზეცად ამაღლებულ უსაყვარლეს მეუღლეს, რომლის გარეშე დროებითაც ვერ გაძლო... ან რომელი ერთი ტკივილისთვის გაეძლო ყველაფერზე ჩაფიქრებულსა და ქვეყნის პრობლემების გულშემატკივარს — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ბრძენკაცს.

ბატონი მერაბი როგორც პირად ტრაგედიას, ისე განიცდიდა განათლების სისტემაში მიმდინარე ე.წ. რეფორმებს, რომლებსაც მთელი სისტემის დანგრევის ტოლსწორად აფასებდა. მისთვის განსაკუთრებულად მიუღებელი იყო საშუალო სკოლების საჯარომდე დამდაბლება, აკადემიური მეცნიერების სისტემის გარედან ნაკარნახევი და სამთავრობო დონეზე მხარდაჭერილი რეფორმა.

გუშინდელმა ავგულა მმართველებმა საყვარელ საქმეს ჩამოაცილეს ნობელიანტთა თანამოსაქმე და პირადი მეგობარი, მსოფლიო და ამერიკის ფიზიკურ საზოგადოებათა მიერ აღიარებული, თავის წევრად პატივით მიღებული მეცნიერი. რა აბსურდი აღარ მოუგონეს დიდებულ ქართველს, რაფინირებულ კაცს, რომელიც მიუხედავად საპატიო ასაკისა და დარბაისლური სიდინჯისა, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბრძნული რჩევებითა და რკინისებური ლოგიკით ფარად ედგა თანამოაზრეებს

ჩვენთვის საამაყოა, რომ ბატონი მერაბი პარტია „თეთრების“ სათავეებთან იდგა და პირველი სიტყვა სწორედ მან თქვა დაფუძნების დღეს. მთელი ქვეყნისთვისაა საამაყო მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც განსაკუთრებულად არის აღიარებული უცხოეთში. ამის დასტურია ბოლო წლებში მსოფლიოს ათამდე ქვეყანაში გამოქვეყნებული მეცნიერული კვლევები და ოთხ ქვეყანაში გამოცემული წიგნები.

მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში აღმართულ დავით აღმაშენებლის ტაძარში უკანასკნელი პატივი მივაგოთ სპეტაკ პიროვნებას, გულანთებულ მამულიშვილს, ნათელ და მართალ კაცს, ვალმოხდილ მეცნიერს და ერთგული დავრჩეთ იმ იდეებისა და პროგრამებისა, რომლებიც ერთად შევიმუშავეთ მომავლის საქართველოსათვის.

თეიმურაზ შაშიაშვილი, ზურაბ ხასია, რობერტ ბაბლიძე, ზურაბ ბარათაშვილი, ინეზა იამანიძე, ზაურ კალანდია, ინგა კაპანაძე, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, შალვა წიკლაური, მზია ჯგუფია, ირინა ჯიბლაძე, შოთა ჯიძია, ავთანდილ ბარამაშვილი, რაულ სვანაძე, სიმონ შარაძე, გიორგი სიხარულიძე.

მანანა დრანგაძე, ვაჟა აზარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე მერაბიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი გარდაიცვალა

კაიროში, 93 წლის ასაკში გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი გარდაიცვალა. ეგვიპტური მედიის ცნობით, ის ერთ-ერთ საავადმყოფოში დაიღუპა, სადაც მენჯის მოტეხილობის გამო მკურნალობდა.



ბუტროს ბუტროს გალი გაეროს გენერალური მდივნად 1992 წელს აირჩიეს. ის არაბული ქვეყნის პირველი და დღემდე უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ამ თანამდებობაზე.

გაეროს უშიშროების საბჭომ სხდომაზე ყოფილი მდივნის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგო პატივი.

◎ გილოცავთ, კოლეგა

არმაზ სანებლიძეს აკაკი წერეთლის პრემია მიენიჭა

საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, მწერალს, მთარგმნელს, საზოგადო მოღვაწეს არმაზ სანებლიძეს აკაკი წერეთლის პრემია მიენიჭა. არმაზ სანებლიძე მედიაჰოლდინგ „რეპორტიორის“ ჟურნალისტი გახლავთ. როგორც ჩვენმა სახალხო პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა „რეპორტიორს“ განუცხადა, არმაზ სანებლიძეს პრემია საინტერესო წიგნების გამოცემისთვის გადაეცა.

— არმაზ სანებლიძემ უაღრესად საინტერესო წიგნები დაწერა და გამოსცა. პრემია გადაეცა როგორც კარგ მწერალს და ჟურნალისტს. ამას გარდა, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბატონი არმაზი გახდეს მწერალთა კავშირის წევრი, — განაცხადა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

არმაზ სანებლიძე 1936 წლის 18 თებერვალს დაიბადა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება.

1957-1969 წლებში იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე; 1969-1970 წლებში გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“, 1970-1974წწ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი; 1977-1986 წწ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1986-1989 წწ. — თავმჯდომარე; 1989-1990 წწ. მინისტრთა კაბინეტის საერთო და ინფორმაციის განყოფილებების გამგე; 1990-1992 წწ. „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; 1992-1996 წწ. პირველი მოადგილე; 1996 წლიდან მთავარი რედაქტორი; 2004 წლიდან ჟურნალისტური საქმიანობა განაგრძო გაზეთ „ასავალ-დასავალში“, 2009 წლიდან გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“.

არმაზ სანებლიძე არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. მიღებული აქვს ღირსების, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენები, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, მიღებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია, აგრეთვე, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მინიჭებული აქვს ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და „ოქროს ფრთის“ საერთაშორისო პრემიები.

არმაზ სანებლიძე არის პროფესიის ერთგულების სიმბოლო, თავმდაბლობისა და კეთილშობილების განსახიერება, პირდაპირი და რაინდი კაცი.

მისი აღიარება, წუთისოფლის ასე შესანატრად მოვარგება განსაკუთრებით გვახარებს „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებს, ის ხომ წლების განმავლობაში რედაქტორობდა ამ უძველეს და მუდამ ახალგაზრდა, დამოუკიდებელი საქართველოს მემატიანე გაზეთს.

გმადლობთ ერთგულებისთვის და ღვაწლისთვის, ბატონო არმაზ!

გილოცავთ დაბადების დღეს. დარწმუნებული ვართ, ასი წლისაც ასეთი მხნე, ძლიერი და გონებანათელი იქნებით!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სარედაქციო კოლეგია

◎ გამოფენა

თვალისმომჭრელი „მაგის“ შარფები

ჟორჟ ბრაკი, მარკ შაგალი, ჟოან მირო, ალბერტო ჯაკომეტი, ფერნან ლეჟე, ერიკ დიტმანი, ანტონიო ტაპიესი — ეს მე-20 საუკუნის იმ დიდებულ მხატვართა არასრული ჩამონათვალი გახლავთ, რომელთა ნამუშევრები მსოფლიოში ცნობილი საფრანგეთის მარგარეტ და ემე მაგების სახელობის ფონდის ექსპოზიციაშია დაცული.

გასული საუკუნის დიდებულ შემოქმედთა სახელები თავდაპირველად იმიტომ ვახსენე, რომ მკითხველისთვის ფონდის სიმდიდრე და დონე უფრო თვალნათლივ წარმომეჩინა, თუმცა კი, ამ ჯერზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ სამხატვრო გალერეაში მხოლოდ „მაგის“ აბრეშუმის შარფების დიდებული კოლექციაა გამოფენილი.

ექსპოზიციაში, რომელმაც საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და რომლის გახსნას ხელოვნების მცოდნე და რიგითი მოყვარული, ასევე დედაქალაქის მრავალი სტუმარი დაესწრო, „მაგის“ კოლექციიდან დაახლოებით ხუთი ათეული აბრეშუმის შარფია წარმოდგენილი. საგულისხმოა ის, რომ თითოეული შარფის მოხატულობა რომელიმე ცნობილი მხატვრის მიერ საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილი ესკიზის მიხედვითაა შესრულებული, რაც მათ განუმეორებლობას განაპირობებს.



აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ფონდი „მაგი“ მოდერნისტული და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა ფორმის წარმოსაჩენად და საზოგადოებრიობის გასაცნობად შეიქმნა. მასში დაცულია თანამედროვე ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის ნიმუშთა ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული კოლექცია.

ეროვნულ სამხატვრო გალერეაში ამჟამად გამოფენილი აბრეშუმის შარფების ექსპოზიცია ხაზს უსვამს დიდი აბრეშუმის გზის გაანახლების მნიშვნელობას და ერთგვარად მისი მხატვრულად წარმოჩენის ცდაა. გარდა ამისა, გამოფენის მიზანს საქართველო-საფრანგეთის კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავება, ასევე ევროპის საგამოფენო სივრცეში ინტეგრირების მშვენიერი ნიმუშია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული მუზეუმის, თბილისის მერიის, საფრანგეთის საელჩოს, საქართველოში ფრანგული ინსტიტუტის, სასტუმროების ქსელის „რუმსისა“ და ნავთობკომპანია „გალფის“ მიერ მხარდაჭერილი გამოფენის ფარგლებში, რომელიც 22 თებერვლამდე გასტანს, მაგების ოჯახის წარმომადგენელმა მასტერკლასი გამართა. ასევე პროექტის ფარგლებში თბილისს ქალაქ ლიონის ბროშიეს აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორი სედრიკ ბროშიე ესტუმრა.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიხო დღეში 20 სიგარეტს ეწეოდა, შაქრო კი დღეში მხოლოდ 15 სიგარეტს სწევს. კითხვა: ხომ არ უნდა დაფიქრდეს შაქრო, რატომაა, რომ მიხოს წარსულ დროში მოიხსენიებენ?

* * *

— შენა კაცო, რა ვქნა, დათვმა ხომ არ დაგაბიჯა ყურზე, ჰა?

— რას ამბობ, კაცო, აბსოლუტური მუსიკალური სმენა მაქვს!

— ბიჭო, სმენა რა შუაშია, შენ ყური ნახე, ყური!..

გამოცდა ბიოლოგიაში:

— აბა, მითხარით, ყმაწვილო, რაში სჭირდება ადამიანს 12 მეტრი სიგრძის ნაწლავები?

— ქაფქაფა ჩაით უკანალი რომ არ დაიმდუღროს, მასწ.!

* * *

კაცს სიტყვას რომ მისცემ — აუცილებლად უნდა შეასრულო დანაპირები. თუ ამის გაკეთება ვერ შეძელი — სხვა რამე შესთავაზე, მაგალითად, ალიყური — გახსოვდეს, ამით საქმეს არასოდეს გააფუჭებ!

* * *

— ბედნიერებას და ჯანმრთელობას ფულით ვერ იყიდი!

— მომეცი, კაცო, ეგ ჩემოდანი! ახლავე გაჩვენებ როგორ უნდა მოქცევა!

* * *

საკმარისია ერთხელ უთხრა ადამიანს ქათინაური ლამაზად გადაგრეხილი ულვაშების გამო და მორჩა, გათავდა — სიდედრი ცხოვრებაში აღარ დაგელაპარაკება!

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!